საერთო გაზეთი

№13 (424) • 5 აპრილი, 2017 წ. • ოთხშაბათი • WWW.SAERTOGAZETI.GE • ფასი 1 ლარი

„აბლიცოვკაშეცვლილი“ ეკა ხოფერია, „იმედის“ აფეთქებას აპირებს?

სოსო ცინცაძე: ჩვენი მინისტრები სულ უცხოეთში რომ არიან, საზღვარგარეთ მუშაობენ და საქართველოში მივლინებით ჩამოდიან?!

მამა ბასილი: გარწმუნებთ, აღდგომის შემდეგ ყველაფერი სასიკეთოდ შეიცვლება!

დიმიტრი ბიძინაშვილი: ვინ და რის სანაცვლოდ იგებს ტენდერებს ერთ პირთან მოლაპარაკების გზით?



გიორგი ბურჯანაძე: პირველ-კლასელთა რეგისტრაციის წესი უნდა შეიცვალოს!

დუშეთი – საქართველოს კარიბჭე

გვესაუბრება დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგებელი ვაჟა ჩოხელი

„აბლიცოვკაშეცვლილი“ ეკა ხოფერია, შაჰიდი ქალბატონი „ნაცმოძრაობიდან“, „იმედის“ აფეთქებას აპირებს?

რატომ იქცა ტელეკომპანია „იმედი“, „ნაცხლამჟურნალისტებისა“ და „ნაცსახეების“ თავშესაფარად?

2016 წლის 21 ნოემბერს, დონალდ ტრამპთან „ტრამპ ტაუერში“ არაფორმალურ შეხვედრაზე წამყვანი ამერიკული მედია მივიდა. ტრამპმა მედიის წარმომადგენლები მიჭირხვნა, CNN-ის დირექტორს, ჯეფ ცუკერს უთხრა, რომ CNN-ში მატყუარები მსახურობენ და მას ისინი ეზიზღება, ყველას ერთად კი, შეკრებილ 40-მდე წამყვანი გამოცემის წარმომადგენელს „უღირსები“ უწოდა. NBC და CBS-საც მოუწია მძაფრი კრიტიკის მოსმენა. როგორც ტრამპის რეაქციიდან ჩანს, აშშ-იც გვარიანად სცოდავს მედია. ახლა საინტერესო ის არის, ქართულმა მედიამ მათგან გადმოიღო მუშაობის სტილი თუ პირიქით, იქით ასწავლეს „ჩვენებმა“...

კურიოზამდე მისული ვითარება — გვახსოვს რა ამბავი ატყდა, არიქა, ეკა კვესიტაძე და დავით პაიჭაძე საკაშვილის სისხლიანი რეჟიმის ჟურნალისტებად მოიხსენიესო და „საზმაუდან აცმევინესო“; ვაიმე, ეკა მიშველაძეს პოლიტიკური ნიშნით დაატოვებინეს ეთერიო; უიმე, ნინო შუბლაძეც წასულაო; ეეე, „ჟიჟისგან“ რაღა უნდოდათო? ვაიმე სანაიას ძმაო; ჟურნალისტებს დაერივნენო; ინგაცო?! რა გვეშველება, დუტაც გაქრაო; ვაი, თიკო ფეიქრიშვილიც რომ გამქრალაო? და ა.შ (იმ დროისათვის, როგორც მასხრობდნენ, ირმა ნადირაშვილი იძულებით აბაზანას იღებდა დაუდგენელ ადგილზე, თბილისში, ბათუმში ან დაბა შინდისში, სადაც 4 სახლი და ნაკვეთი აქვს, ხოლო ფრიად ნაპატივები გურამ დონაძე ნაყინის ტლეკვის კურსებს გადიოდა ვითომ დაკითხვებთან ერთად, ამდენად, საყოველთაო გლოვაში არ მოხვედრილან)

არადა, არავინ არსად რომ არ გამქრალა? მას შემდეგ, რაც ნაც-ჟურნალისტები ბუდემოშლილი კრაზანებივით აიშალნენ (ფაქტობრივად, ყველა საკვანძო-საინფორმაციო ადგილს მოედვნენ), სალაპარაკო დარჩა ამხანაგი „ჯულიეტოვნა“ ნაპროკურორალი ამხანაგით; „უტოს“ „მირონმდინარი“ ეკა; „პომადიან ბულდოგად“ სახელდებული ინგა და წვრილფეხობა, ხოლო ბობოლა ჟურნალისტ-აღმასრულებლები, რომლებიც კვლავ და ძველებურად შხამავენ საზოგადოებას როგორც ეთერიდან, ისე „მოყუჩებული“ ადგილებიდან, რატომღაც ყველამ მიივიწყა.

სტაჟიანი ნაცჟურნალისტების „ზაგაჟნიკი“ იმდენად ფართოა და ეშმაკურად შეკრული, რომ ხელოვნურად ამოწურულია ჟურნალისტების რესურსი. ისეა გამოწყობილი საქმე, თითქოს მათგან იწყება და მთავრდება ქართული ჟურნალისტიკა... დაწყების რა მოგახსენოთ, მაგრამ ქართულ ჟურნალისტიკას რომ დიდი ხანია დედა გაბახებისას შემოაკვდათ, სახეზეა...

ის ე.წ ჟურნალისტები, რომლებიც დაწყებული შევარდნაძის ხელისუფლების გადატრიალებით და შემდგომ საკაშვილის სისხლიანი რეჟიმის გათეთრებით გვარიანად ხეირობდნენ, რატომ უნდა იყვნენ „ჩამონტაჟებულები“ იგივე სახის ავი საქმის კეთებისთვის ყველგან და ყოველთვის? მერე უკვირთ ზოგიერთებს, რომელიმე სფეროში რაც სასიკეთო კეთდება საქართველოში, რატომ არ ვრცელდება ინფორმაციაო? კი, მაგრამ ვინ უნდა გაავრცელოს ეს ინფორმაცია, როცა ვისაც ეს ევალება, ფაქტობრივად, კვლავ ერთი კაცის „მიშასა და კამპანიის“ დაკვეთილი სურვილების აღმასრულებელია?

ბატონი გიორგი ფოფხაძის თქმისა არ იყოს, ბედის ირონია არაა კაცო? ჟურნალისტები, ვინც საკუთარი სიცოცხლისა და ოჯახების რისკის ფასად მუშაობდა საკაშვილის სისხლიანი რეჟიმის პირობებში, უმუშევრად სხედან და ძველი რეჟიმის გამპრავებლები ისევ ტელეეკრანებზე არიან წამოპლაკულები და აქეთ გვარიგებენ ჭკუას... ტფუუუუ...

როგორც ამბობენ, მართლა არ გვეღირსა ერთი ნორმალური ტელევიზია. „რუსთავი-2“ დაბოღმილი საბოტაჟნიკების რუპორია; „საზმაუ“ — ბორდელი; „კავკასია“ — სალობიე; „იმედი“ უიმედობის იმედი... არადა, ამ ქალაქში მიკროფონი რომ ააგდო ჟურნალისტს დაეცემა თავში...

კონკრეტულ ადამიანებს კონკრეტული ადამიანების წინაშე კონკრეტული ვალდებულებები არ ეცვლებათ როცა საქმე იდეოლოგიას შეეხება, ანუ რეალური დამქირავებლის ნება-სურვილს. მოკლედ რომ ვთქვათ, ერთხელ და საფუძვლიანად რომ ჩადგეს ფეხი ნეხვში, მას შემდეგ დაიბანეს კიდეც ვითომ, მაგრამ ნეხვში ფეხჩანადგამად რომ იქნებიან ყოველთვის მოხსენიებულები?

რა გლოვა და ვაი-ვიში აუტყდა ამხანაგ ეკა ხოფერიას, როცა ხან რჩეულიშვილების ოჯახის ქომაგობაზე გამოიდო თავი და ხან მეუფე პეტრეზე?

ხოფერიას და მისი „პროტეჟეს“ დემაგოგიას, ცოტა მყიფე გონებისა ვინც მოუსმენდა, უცბადვე რჩეულიშვილების ოჯახიკენ გადაიხრებოდა, ერთი ოჯახის თაღლითობა ტრაგედიად გადაეშლებოდა თვალწინ, 6 000 ოჯახის ტრაგედია კი — სტატისტიკად. თითქოს არ იციან პატივცემულებმა, რომ ყველა დამნაშავეს ჰყავს ოჯახის წევრები; რომ კანონის მიხედვით, ოჯახის რამდენი წევრიცაა დამნაშავე იმდენი უნდა დაისაჯოს...

ვახტანგ რჩეულიშვილმა: „მომილოცავს, სირებო, ბზობა!“, ასე რომ მოგვილოცა მართლმადიდებელ მრევლს ბზობის ბრწყინვალე დღესასწაული, აგერ, კვლავ მოდის ბზობა, თუმცა, რასაც იყვედრებოდა ვერ აგვისრულა: „ეს სადისტური სასამართლო პროცესი რომ დამთავრდება, მოვკიდებ მაიას ხელს და ან მადრიდში, ან ატლანტაში წავიყვან! რუსუდანს ხომ დღესვე მიიღებენ გაერო-ში სამუშაოდ, მაია კი ნებისმიერ ადგილასაა ბიზნესის ამწყობი — ჯერ კიდევ როდის სთავაზობდნენ მაღალანაზღაურებად ადგილს ამერიკულ სამშენებლო კომპანიაში (ჯორჯიაში). ან სულაც წმინდა მიწაზე გადავსახლდებით, თან ცოდვებსაც მოვინანიებთ, ცხადია, მანამდე თუ გავუძელით ამ საგიჟეთსო...

რა დაინტერესება აქვს ეკა ხოფერიას რჩეულიშვილებისგანო? — ზოგს ახლა გამოეღვიძა. მტკიცებულებითი პასუხი არავის აქვს, თუმცა ეჭვები მრავლადაა.

მიხეილ საკაშვილმა, ბოლოს, მედიის განვითარების ფონდი თუ რაღაც ამდაგვარი რომ შექმნა და 1 მლნ რომ დაუნაწილა ჟურნალისტებს, აბა, თუ გახსოვთ, ვინ იყო ამ მილიონის განმკარგავიო? ჰოდა, თუ გახსოვთ, აქედან მოდის ეს ჟურნალიუგურ-სოლიდარული ვაი-ვიშიო, — მტკიცებულებითი ფორმით დასკვნა დადო პასუხად ვინმე გიორგიმ.

რადგან შეუძლებელია ყველას ახსოვდეს, შევახსენოთ ოფიციალურად გავრცელებული ინფორმაცია — პრეზიდენტის მიერ ინიცირებულ „სამოქალაქო სექტორისა და თავისუფალი მედიის განვითარების ხელშეწყობის პროექტს“ ექსპერტ გია ნოდიას „მშვიდობის, დემოკრატიისა და განვითარების კავკასიური ინსტიტუტი“ და ზაზა დარასელის სახელობის ჟურნალისტიკის განვითარების ფონდი განახორციელებსო.

რჩეულიშვილების შემდეგ, ახლა მეუფე პეტრეს შესწირა ძვირფასი საეთერო დრო ეკა ხოფერიამ უშურველად და საათნახევრის განმავლობაში გვასმენინა დონ პეტრეს მონოლოგი.

„ეკა ხოფერიას ვინ დააბრალა ჟურნალისტობა!“

„დავიტანჯე ხოფერიას ბორძიკით... დასვენებული ვიყავი ცოტა ხანი, რატომ მოათრიეს ისევ“

„რას ბლუკუნებდა საწყალი, მოვკვდი საცოდაობით...“

„ცარიელმა თავთავებმა წალეკეს მედიასივრცე და პრინციპში — ქვეყანა...“

„ეკა ხოფერიამ თავი შეირცხვინა — ეს რა საშინელება იყო...“

„მე მის ჟურნალისტურ „ნიჭზე“, „მეტყველებაზე“ და გადაცემის კულტურაზე მოგახსენებთ...“

„ამ ქალს მეტყველება რომ წუნდებული აქვს, ვერავინ ამჩნევს? იმის დანახვას რაღა უნდა რომ მწირი ლექსიკური მარაგის გამო ხელებს უაზროდ იქნევს? ხმა რომ ჩაახშო და ისე უყურო, იფიქრებ, შიზოფრენიული შეტევა დაეწყოო...“

„ეს ის ხოფერია არ არის პროვოკატორი „რუსთავი-2-ის“ ღამისმთევლად რომ იყო დაყენებული შევარდნაძის დროს და გვიბრძანებდა, ჩქარა გამოდით სახლებიდან, დავამხოთ ხელისუფლებაო?“ — აი, ის მცირედი ჩამონათვალი, რაც ტელეეკრანზე ეკა ხოფერიას კიდევ ერთხელ გამოჩენას მოჰყვა.

შემთხვევითი ნამდვილად არ არის, რომ ე.წ „მამალ ნაციონალ“ ჟურნალისტებთან ერთად „აბლიცოვკაშეცვლილ“ ეკა ხოფერიასაც დაატყდა მაყურებლის რისხვა. რატომ? — ალბათ, იმიტომ, რომ საქართველოს მოქა-

„საერთო გაზეთი“
გამომცემელი: შპს საგამომცემლო ცენტრი „საერთო სიტყვა“
მის: თბილისი, აღმაშენებლის 164;
ტელ.: 2 14 40 19; 2 34 28 97;
E-mail: saertogazeti@yahoo.com
რეგისტ. №202375349; უაკ (UDC) 070.23 (479.22) ს-158

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. შესაძლოა, ავტორის პოზიცია არ ეთანხმებოდეს რედაქციის აზრს. ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი. გასაჩივრება შესაძლებელია მასალის გამოქვეყნებიდან ერთი კვირის ვადაში. შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდება.
იბეჭდება შპს „ასავალ-დასავალის“ სტამბაში; თბილისი, აგლაძის 39
® ამ ნიშნით აღნიშნული სარეკლამო მასალები.

ლაქეები მეხსიერებას არ უჩივიან...

ჯერ კიდევ 2001 წელს, როდესაც „ნაციონალური მოძრაობა“, როგორც პარტია, იმ დროს „ახალგაზრდა რეფორმატორები“ ერქვათ, ქალბატონი ეკა ხოფერია კი მათი ტელევიზიის, „რუსთავი-2-ის“ მრისხანე რუპორი იყო...

2001 წლის 30 ოქტომბერს ჟურნალისტი ეკა ხოფერია ისტერიული ხმით აუწყებდა მაყურებელს რომ „რუსთავი-2-ის“ ოფისში უკანონოდ შეიჭრნენ უშიშროების წარმომადგენლები, რომლებიც კომპანიის ხელმძღვანელობისგან რაღაც დოკუმენტებს ითხოვდნენ. ჟურნალისტი ხოფერია მომხდარს აფასებდა როგორც თავისუფალი მედიის ხელყოფას, სიტყვის თავისუფლების შეზღუდვას და ა.შ „წმინდათაწმინდა“ ღირებულებებზე გალაშქრებას. ეკა ხოფერია მოსახლეობას მოუწოდებდა მისულიყვნენ „რუსთავი-2-ის“ ოფისთან და აღესრულებინათ თავიანთი მოქალაქეობრივი ვალი — სასაცილოდ ჩანს ახლა ეს პათეტიკური შინაარსით გაჟღენთილი ფრაზები, მაგრამ ასე იყო...

შედეგი — ინცინდენტი, რომელიც „რუსთავი-2-ის“ წარმომადგენლებისგან იყო პროვოცირებული, მოსახლეობის თვალწინ, ღია ეთერში, ეკა ხოფერიას ენა-პირით გაფორმდა როგორც თავისუფალი მედიის დარბევის მცდელობა, არადა, საბუღალტრო დოკუმენტაციის წარმოდგენაზე იყო საუბარი, რადგან არსებობდა საფუძვლიანი ეჭვი, რომ 13 მილიონიანმა გრანტმა გადმოკვეთა საქართველოს საზღვარი და შემდეგ გაქრა, მაგრამ კვალი „რუსთავი-2-ის“ ოფისისკენ მიდიოდა...

2001 წელზეა საუბარი, 2001 წელზე! — სავარაუდოდ, მაშინ გაუგეს არმად ნაშოვნ პირველ ათასებს გემო ერთობლივად „რუსთავი-2-ის“ ჟურნალისტებმა და იმდროინდელმა „ახალგაზრდა რეფორმატორებმა“, შემდგომში ნამეტნავად მადამომძლავრებულმა „ნაციონალებმა“, როგორც პოლიტიკოსებად ქცეულებმა, ისე ნაცჟურნალისტებმა „გამარჯვებული ხალხის ტელევიზიიდან“...

ქალბატონი ხოფერია ამ შემთხვევაში მხოლოდ კრებსითი სახელი არ არის „ნაცჟურნალისტებისა“, კონკრეტულად ეკა ხოფერია „რუსთავი-2-ის“ საინფორმაციო სამსახურის მიმართულების განმსაზღვრელი იყო, ანუ სავსებით ეთანხმებოდა იმას, რასაც სთავაზობდნენ — სარფიანი საქმე იყო რევოლუციის მოწყობა ტელევიზიდან...

სახელმწიფო გადატრიალება იმჯერად ვერ შედგა. ამ დროს ეკა კვესიტაძე საერთოდ არ ჩანს, დავით პაიჭაძე არაფერს აშავებს გამოკვეთილად რადიოდან, „მათხოჯი“ ირმა ნადირაშვილი და საეჭვო სექსუალური ორიენტაციის დონაძე კი რიგითი კორესპონდენტები არიან ისევე, როგორც ბევრი სხვა, დღევანდელობაში აღზევებული ცნობადი მამრი თუ მდედრი ჟურნალისტი...

თუ ჩავთვლით, რომ ქალბატონი ხოფერია უბრალოდ ქალბატონი ხოფერიაა და არა ყველა დროის პრივილეგირებული ჟურნალისტი, ბუნებრივი იყო რომ დაბადებულიყო კითხვა: ენაგატლეკილი ეკა კვესიტაძე არ უნდა იყოს გადაცემის წამყვანი და სიტყვების მარაგისგან აბსოლუტურად დაცლილი ეკა ხოფერია

თავს უნდა ამეტებდეს ვინმესო? — და კვესიტაძეც დაგვიბრუნეს. (სხვა საკითხია გადაცემის დახურვის გამო აშშ-ის ელჩთან რომ წავიდნენ საჩივლელად კვესიტაძე და პაიჭაძე)

მიუკერძოებელმა კაცმა რომ თქვას, ფრიად „საპატიო მიზეზების“ გამო სხვაგვარად მოქცევა ხომ არც შეუძლია ეკა ხოფერიას? „ნაცჟურნალისტია“, კარგად დავალებულ-გამოკვებილი საკაშვილის ნაალაფარით; მოწოდებით „ნაცია“; როგორც ღირსეულ „ნაცს“ შეეფერება, უცნაური დემოკრატ-დასავლეთელია; იგიც ჩვეულებრივი ნაცი-დედა და ნაც-მოქალაქეა, რომელიც „შარლი ებდო“ გახდა მყისიერად, მაგრამ ვერაფრით შეძრწუნდა როცა იმავე „შარლი ებდომ“ თურქეთის სანაპიროსთან ზღვის გამორიყული სამი წლის ბავშვის მცირეხნიანი სიცოცხლის ტრაგიკული დასასრული შაყირით გამოხატა: „კეთილი იყოს თქვენი მობრძანება მიგრანტებო!“ „აქცია ბავშვებისთვის — ორი მენიუ ერთის ფასად!“...

პატრიარქი და ქრისტიანობაც კი საკუთარი გადაცემისა და საკუთარი თავის წარმოსაჩენად გამოიყენა, არადა, იმავე „შარლი ებდომ“ კიდევ ერთი კარიკატურა გამოაცხო სადაც ქრისტეა გამოსახული, რომელიც დამხრჩვალი ბავშვის სიახლოვეს წყალზე დგას, წარწერით — „ეს ამტკიცებს, რომ ევროპა ქრისტიანულია, ქრისტიანები წყალზე დადიან, მუსლიმანი ბავშვები იძირებიან“.

რას ეშარება ეს ხალხი, ბოლოს და ბოლოს, სულ რომ არაფერი, გიორგი პაპუაშვილის ცოლისდა ბრძანდება ამხანაგი ხოფერია, რაც საქართველოში ხელწამოსაკრავი „სტატუსი“ არ არის და აბა, როგორ უნდა მოქცეულიყო ან როგორ უნდა მოიქცეს?

2003-2004 წლებში ჯერ კიდევ უყვარდათ და პატივს სცემდნენ ჟურნალისტს, მაგრამ ეს ბოლო კუდის მოქნევა იყო. სწორედ „რუსთავი-2-მა“ რომ დაიწყო უკადრებელი „60 წუთით“, მიჰყვა და მიჰყვა მისი მავნე ბუდიდან აფრენილი ჟურნალისტების დაფრთიან-გადაფრთიანება და სრულიად საქართველოს ტელე-სივრცეში გუგულის კვერცხებად ჩალაგება.

სწორედ კრებსითმა ხოფერიებმა მოსპეს ქართული ჟურნალისტიკა და მატყუარას იარლიყი მიაკრეს ყველა ჟურნალისტს...

ეკა ხოფერიას თოკ-შოუს გარდა სხვაგან თუ სადმე გინახავთ, კონკრეტული გადაცემის წამყვანი საკუთარი დაბადების დღის აღნიშვნას გადმოსცემდეს, როგორც იმავე ეკა ხოფერიამ მიუძღვნა საკუთარ თავს? ან გადაცემის წამყვანების დროსტარებას ეძღვნებოდეს გადაცემა, როგორ ერთობიან ზღვაზე თუ მთაში, ზამთარსა თუ ზაფხულში? Aან ტელე-სახეები ხან საკუთარ, ხან ერთმანეთის ოჯახებს აპიარებდნენ? ერთ გადაცემაში ქვეყანაში არსებული გაჭირვების სურათს უმძაფრესად გადმოსცემდნენ და მეორე გადაცემას თავიანთ ზღაპრულ „პურისჭამას“ უძღვნიდნენ...

ეს ტელევიზია კიდევ, ცხონებული ბადრი პატარკაციშვილის „იმედი“, რეალურად ვისია, მთელი ნაცხლამჟურნალისტებისა და „ნაცსახეების“ თავშესაფარად რომ იქცა?

იცოდა იოზეფ გებელსმა რასაც ამბობდა, მომეცით მასობრივი ინფორმაციის საშუალებები და ნებისმიერ ერს ღორების კოლტად ვაქცევო...

ჰოდა, მიცემულიც აქვთ და გადაცემულიც მასობრივი ინფორმაციის საშუალებები მანიაკი საკაშვილისა და მისი ბანდის ყურმოჭრილს მონებს, პირად კახპებსა თუ თანამზრახველებს, ყველანაირი ჯურის სალახანებს, რომ ერი ღორების კოლტად აქციონ, ხოლო ქვეყანა ერთ დიდ საღორეს დაამსგავსონ...

გიორგი ჩხეიძე

რისი ეშინია ევროპას?

ვიზალიბერალიზაცია ნამდვილად კარგია, მაგრამ სადღესასწაულო და საზეიმო რა არის ამაში, როცა ამ სიკეთეს იქვე შეჩერების მექანიზმი მოაყოლეს, რაც, ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, შეურაცხმყოფელი და დამამცირებელია.

შეჩერების მექანიზმი იმას ნიშნავს, რომ ბოლომდე არ გვენდობიან და ბოლომდე არ სჯერათ, რომ ცივილიზებული და კულტურული ერი ვართ და არა ნახევრადველური არსებები.

თუმცა ეს ევროპელებს როგორ დავაბრალოთ, როცა ჩვენივე ყოფილი პრეზიდენტი სააკაშვილი დაბეჯითებით ირწმუნებოდა, რომ ქართველები ულვაშებმოშვებული, კეპკიანი ქუდებით მოსიარულე ბნელი ტიპები არიან, რომლებსაც, მისივე თანამეცხედრის, ქ-ნ სანდრას აზრით, მკაცრი ხელი სჭირდებათ.

არ დასცალდა ბატონ სააკაშვილს ქართველი ხალხის აღზრდა და თავის თანამზრახველებთან ერთად ახალი ქართველის ჯიშის გამოყვანა და იმიტომ გვაქვს საქმე საჭოჭმანოდ და საეგებიოდ.

ახლა არ ვიცი, რა გვეშველება — შევიშვებით კი ჩვენ, ასეთები და ამნაირები დიდ ევროპულ ოჯახში თუ უკანვე მოგვაბრუნებენ და კვლავ საკაშვილს და „ნაცმოძრაობას“ ჩაგვაბარებენ აღსაზრდელად და გასაევროპელებლად?

ასეთია სიტუაცია, ჩვენ კი ვზეიმობთ...

ევროპარლამენტის სხდომაზე ერთმა პარლამენტარმა იკითხა — 500-მილიონიან ევროპას 4 მილიონი ქართველის ეშინიაო?

მართლაც, ყოჩაღ ჩვენ, თუ ნახევარმილიარდიან ევროპას 4 მილიონი ქართველის ეშინია — ე. ი. მაგრები ვყოფილვართ ჩვენ, საწყლები, ეს უზარმაზარი კონტინენტი ასე რომ დაგვიფრთხია.

მაგრები და ნიჭიერები არიან ქართველები, თანაც ისეთი ნიჭიერები, რომ ქართველი „დომუშნიკების“ მიერ გაღებულ კარებს არც კი ეტყობა, რომ ვიღაც უცხომ გააღო.

ქართველი კრიმინალები ისეთ სქემებს იგონებენ, ისეთ კომბინაციებს ხლართავენ, რომ ევროპელი სამართალდამცავები თვეები უნდებიან მის ამოხსნას.

კრიმინალს რომ თავი დავანებოთ, სხვა საქმეებშიც ნიჭიერები ვართ ჩვენ, ნიჭიერები და მაგრები, თან ისეთი მაგრები, რომ რუსული იმპერია, დღემდე ძილს რომ უფრთხობს ევროპას, ჩვენ, ქართველებმა, შევქმენით.

თუ მხოლოდ ტუალეტის მხეხავებად, მოხუცების მომვლელებად და ჭურჭლის მრეცხავებად არ გაგვამწესებთ და სხვა უფრო სერიოზულ დარგებთანაც თუ მიგვიშვებთ ახლოს, იქნებ თქვენს გიშველოთ...

ჩვენ საკუთარი თავისთვის არ ვუქნივართ ღმერთს, თორემ სხვის საქმეში და სხვის ომში, როგორც გითხარით, ძალიან ნიჭიერები და ძალიან მაგრები ვართ...

ასე რომ, საზეიმო და სადღესასწაულო მარტო ჩვენ კი არა, ევროპელებსაც აქვთ, ისინი კი, რატომღაც, არ ზეიმობენ და კოპებშეკრულნი გველოდებიან თავიანთ საზღვრებთან.

მშობლიურო ჩემო მიწავ...

დღევნდელი ნომრის სტუმრები არიან საქართველოს სოფლის მეურნეობის აკადემიის ნამდვილი წევრი პაატა კოღუაშვილი და არასამთავრობო ორგანიზაცია „ეკონომიკური პოლიტიკის ექსპერტთა ცენტრის“ ვიცე-პრეზიდენტი ვეფხია გიორგაძე.

პაატა კოღუაშვილი: „მიწის საკითხი, ფაქტობრივად კონსტიტუციის მიღმაა დატოვებული. დღევანდელ კონსტიტუციაში მიწა არ წარმოადგენს განსაკუთრებულ ღირებულებას, იგი არაფრით გამოირჩევა სხვა ნებისმიერი ნივთისგან, რაც ეროვნული ინტერესებისთვის დიდ საფრთხეს წარმოადგენს და გავრცელებულ საერთაშორისო პრაქტიკასაც ძირშივე ეწინააღმდეგება. ევროპისკენ რომ მივილტვით, გადავხედოთ ცივილიზებული ქვეყნების შესაბამის კანონმდებლობას, რომელთა მიხედვითაც სასოფლო-სამეურნეო მიწის გასხვისება ყოველთვის სახელმწიფოს მიერ კონტროლირებადი პროცესი უნდა იყოს, რადგან მიწა მხოლოდ ეკონომიკური კი არა, სოციალური და კულტურული ფასეულობაცაა. მაგალითად, ავსტრიაში უცხოელთა მიერ მიწის შეძენა კანონებით რეგულირდება. იქ

პაატა კოღუაშვილი

უცხო ქვეყნის მოქალაქეს მიწის შეძენისთვის ჭირდება ნებართვა, რასაც იგი იმ შემთხვევაში მიიღებს თუ სახელმწიფოებრივ-პოლიტიკური ინტერესები არ იქნება შელახული, თუ ეს პიროვნება ათი წელი ლეგალურად, კანონიერად იმყოფება ავსტრიის ტერიტორიაზე და მისი შენაძენით არ ილახება მნიშვნელოვანი ეკონომიკური, სოციალური, კულტურული ან სხვა საჯარო ინტერესი. უცხოელს როცა ნაყოფიერი სასოფლო-სამეურნეო მიწის შეძენა სურს, მას დამატებითი ნებართვაც ჭირდება, რომელსაც სპეციალური კომისია გასცემს. შვეიცარიაში უცხოელებზე მიწის გასხვისება დაშვებულია, მაგრამ იქაც ნებართვაა საჭირო, ამ ქვეყნის ფედერალური კანონის „უცხოელთა მიერ შეძენის შესახებ“ პირველი მუხლი ადგენს კანონის მიზანს, „უცხოელთათვის შვეიცარიის მიწის შეძენის შეზღუდვა, რათა თავიდან აცილებული იქნას შვეიცარული მიწის „გაუცხოება“. თურქეთის კანონმდებლობით, უცხოელზე გაყიდული მიწა მთლიანობაში არ უნდა აღემატებოდეს 2,5 ჰექტარს (გაზრდა გამონაკლის შემთხვევებში 30 ჰა-მდეა შესაძლებელი). გერმანიაში მყიდველი ამ მიწის დამუშავების კონკრეტულ გეგმას წარადგენს, რომელიც გერმანიის პოლიტიკურ-სოციალური ინტერესს უნდა შეესაბამებოდეს. გერმანიაში საკმაოდ ფრთხილი მიდგომაა სასოფლო-სამეურნეო მიწის არასათანადო გამოყენებასთან დაკავშირებით, იქნება ეს უცხოელი თუ გერმანიის მოქალაქე, ამიტომ ნებართვის მოპოვება სპეციალური კომისიის თანხმობის გარეშე შეუძლებელია. დანიაში ერთ პირს უფლება არ აქვს ორ ნაკვეთზე მეტს ფლობდეს (საერთო ფართი 24 ჰა), თან ამ ფართობებს შორის მანძილი 20 კმ-ს არ უნდა აღემატებოდეს. თუ ვინმეს სურვილი აქვს, რომ 24 ჰა-ზე მეტს ფლობდეს, ამ მოთხოვნას მთავრობა იხილავს. ევროკავშირის რიგ ქვეყნებში სახელმწიფო დონეზე იკრძალება ან იზღუდება სასოფლო-სამეურნეო მიწის უცხო ქვეყნის მოქალაქეებისთვის ან არარეზიდენტი იურიდიული პირებისთვის გადაცემა. საერთოდ, მიწის ყიდვა არსად არავის შეუძლია, თუ არ დასტურდება რომ ის მანამდეც მისდევდა ფერმერობას ანდა არ აქვს სპეციალური აგრარული განათლება.

აშშ-ში 1978 წელს მიიღეს ფედერალური აქტი სოფლის მეურნეობაში უცხოური ინვესტიციების შესახებ. მართალია, ამ აქტით დაშვებულია უცხოელების მიერ აგრარული მიწების შეძენა, მაგრამ ყველა კონკრეტული შემთხვევა ქვყნის სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ განიხილება. იქ ძირითადი რეგულირება მიწის უცხოელებზე გასხვისების საკითხზე, ცალკეული შტატის დონეზეა დაწესებული. ამგვარი კანონმდებლობა აკრძალვების სხვადასხვა დონეს გულისხმობს, რაც უფრო აგრარული მიმართულებისაა შტატის ეკონომიკა, მით უფრო მკაცრია აკრძალვა სრულ აღკვეთამდეც კი. ამიტომაცაა, რომ აშშ-ში სასოფლო-სამეურნეო მიწის 1%-ზე ნაკლები ეკუთვნით უცხოელებს, ისინიც ძირითადად ევროპელები და კანადელები არიან. აგერ ჩვენს მეგობარ ლიტვაში.

ლიტვის კონსტიტუცია უკიდურესად ზღუდავს, ხოლო სასოფლო-სამეურნეო მიწის შემთხვევაში საერთოდ კრძალავს უცხოელებზე მიწის გასხვისებას. ანალოგიური დამოკიდებულება უნდა ჰქონდეს საქართველოს ხელისუფლებას, მათ შორის კანონმდებლებს. საქართველო ეკუთვნის ქართველ ერს, ჩვენი მოსახლეობის უფლებაა რომ ეს ტერიტორია (მიწა) გამოიყენოს თავისი საზოგადოების შენებლობისთვის. საქართველოს ყველა მოქალაქე, განურჩევლად სქესისა, ეროვნებისა, აღმსარებლობისა და ა.შ. უფლებამოსილია, რომ საქართველოს ბუნებრივ შესაძლებლობებს, პირველყოვლისა მიწას განიხილავდეს, როგორც თავისი შთამომავლობის საკვებ ბაზას და ყოველმხრივი თვითრეალიზაციის სივრცეს. სახელმწიფო ვალდებულია, ყველა კანონმდებლობითი და პრაქტიკული კონკრეტული ღონისძიება განახორციელოს, რათა ჩვენი ქვეყნის მოქალაქეთა შთამომავლობას აღნიშნული შესაძლებლობები შეუმცირებელი სახით შეუნახოს“.

ვეფხია გიორგაძის განცხადებით, თუ ქვეყნის აღორძინება, ეკონომიკის განვითარება გვინდა, სახელმწიფომ მის მფლობელობაში არსებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწები უსასყიდლოდ უნდა გადასცეს მოსახლეობას.

- შეიძლება ბევრს ჰგონია, რომ კაპიტალიზმში ვცხოვრობთ, მაგრამ სინამდვილეში ასე არ არის, განვითარებულ კაპიტალისტურ ქვეყნებში სახელმწიფოს ძირითადი ქონება (90-95%) კერძო საკუთრებაშია და რაც მთავარია, იქ სახელმწიფო კონკურენციას კი არ უწევს კერძო მესაკუთრეებს, პირიქით, წარმოებული დოვლათის კაპიტალიზაციაში ეხმარება. ჩვენთან ქონების სადღაც 30%-ია კერძო საკუთრებაში, დანარჩენს სახელმწიფო ფლობს. მთლიანობაში დაახლოებით სამი ტრილიონის ღირებულების ქონებას ფლობს სახელმწიფო და იგი აუცილებლად უნდა გადავიდეს ჩვენი მოსახლეობის საკუთრებაში, ამისთვის არსებობს იურიდიული საფუძველი. მოგეხსენებათ, 1921 წელს ბოლშევიკები რომ მოვიდნენ ხელისუფლებაში, მათ ხალხს ყველაფერი წაართვეს, ის მიწაც კი, რომელზეც მათ სახლები ედგათ, სახელმწიფოს საკუთრებაში გადავიდა. 70 წლის შემდეგ, როდესაც საქართველო დამოუკიდებელი ქვეყანა გახდა, მთელი ქონება იურიდიულად სახელმწიფოს ერგო და იგი ვალდებული იყო მოსახლეობაზე გადაენაწილებინა. ვისაც დადასტურებული საბუთი ჰქონდა, რომ ბოლშევიკებმა გააკულაკეს, კუთვნილი ქონება უნდა დაბრუნებოდა.

ამიტომაა აუცილებელი მიწის მთლიანი განკერძოება, ამ საკითხთან დაკავშირებით ჩვენმა ორგანიზაციამ საინტერესო პროექტი მოამზადა, რომლის ფარგლებშიც თითოეულ მოქალაქეს უფასოდ გადაეცემა აქცია, რომელსაც „ინვესტი“ დავარქვით.

ვფიქრობთ, ხსენებული პროექტია მიწების ლეგიტიმური გადაცემის ერთადერთი საშუალება. მიწის სრული განკერძოების შემთხვევაში ჩვენი აგრარული დანიშნულების მიწას ფასი მნიშვნელოვნად გაიზრდება. მოგეხსენებათ, 90-იანი წლების დასაწყისში, მიწას მიზერული ფასი ჰქონდა, ერთი კვ.მეტრი მიწის ფასი ზოგან 50 ცენტი ღირდა, სხვაგან შედარებით მეტი ან ნაკლები. დიღმის შემოსასვლელში, სადაც გაცხოველებული მშენებლობები მიმდინარეობს 1 ჰა მიწა 5.000 აშშ დოლარი ღირდა, ახლა 50 დოლარადაც ვერ იყიდი 1კვმ-ს. ეს მიწა სანამ სახელმწიფო საკუთრებაში იყო, მართლა კაპიკები ღირდა, განკერძოების შემდეგ კი მისი ფასი განვითარებული ქვეყნების საბაზრო ფასს გაუტოლდა. საბაზრო ფასს მოთხოვნა-მიწოდება აყალიბებს, როცა ეს ორი კომპონენტი წონასწორობაშია, ფასიც შესაბამისია. ახლა ჩვენ ურბანული (არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების) მიწა რომ გავყიდოთ, მაგალითად, თურქეთში ამ ფასად ანალოგიური ფართობის მიწას ვიყიდით ანალოგიურ ადგილზე, მაგრამ სასოფლო-სამეურნეო მიწის გაყიდვის შემთხვევაში თურქეთში ამ ფასად ანალოგიური დანიშნულების მიწას ვერ შევიძენთ, რადგან იქ 1 ჰა 20-30 ათასი დოლარი ღირს. არც თურქეთში და არც სხვაგან ისე ადვილად და იაფად არ იყიდება მიწა, როგორც მას ჩვენი სახელმწიფო ყიდის. ვთქვათ, საქართველოში შემოვიდა ინვესტორი (რა თქმა უნდა ინვესტორსაც გააჩნია), მაგალითად ინდოელი, რომელმაც თავის ქვეყანაში 1 ჰა მიწა გაყიდა, აქ

ვეფხია გიორგაძე

იმ ფასად 100 ჰა-ს ყიდულობს და მერე ჩვენს სახელმწიფოს სთხოვს დახმარებას, ვერ ვამუშავებო. ამას არ ჰქვია ინვესტიციის მოზიდვა. უცხოეთში კერძო მესაკუთრემ 5 ჰა რომ გაყიდოს, მინიმუმ 100.000 დოლარს იღებს, საქართველოში კი ამ ფართობში 5.000 დოლარს თუ მიიღებს. მიუხედავად იმისა, რომ უცხოეთში მიწა ძვირია, იქაურები მაინც ძალიან იშვიათად ყიდიან, 5-10% თუ ტრიალებს გაყიდვაში. თუ სახელმწიფოს მხრიდან ხელშეწყობა იქნება, ჩვენც თავისუფლად შეგვიძლია ამ სფეროში სერიოზული ბიზნესი წამოვიწყოთ, მეურნეობა გავაშენოთ, რაც სერიოზულ მოგებას მოგვცემს, ასეთ დროს რომელი ჭკუათმყოფელი გაყიდის მიწას. ასე ხდებოდა ევროპაში. საფრანგეთში დაცვის სისტემა საფასო პოლიტიკაა. პარიზში ფაქტობრივად ფრანგს ვერ ნახავთ, ძირითადად უცხოელები ცხოვრობენ, ფრანგები აგრარულ სფეროში არიან დასაქმებული. საფრანგეთში ერთი ფართობი მინიმუმ 100.000 დოლარი ღირს, ხშირ შემთხვევაში 200.000 დოლარამდეც ადის ფასი. ინდოელს 100 ჰას ნაცვლად მხოლოდ 2 ან მაქსიმუმ 5 ჰა-ს ყიდვა რომ შესძლებოდა, არ შეიძენდა და რადგან ასეთი მცირე მიწისთვის ევროპაში არ ჩავა. ასე რომ, შემაკავებელია ფასი. ჩვენთან მიწის სრული განკერძოების შემთხვევაში, 1 ჰა-ს ფასი მინიმუმ 7.000 დოლარი გახდება და შემდეგ თურქეთის ფასებს გაუტოლდება, რადგან არაფრით ჩამოუვარდება იქაურს, პირიქით ჩვენი მიწა უკეთესიცაა.

როგორც გითხარით, უცხოეთში სახელმწიფო კონკურენციას არ უწევს კერძო მესაკუთრეებს, ჩვენთან კი პირიქით ხდება, რადგან სახელმწიფო ფასებზე ახდენს გავლენას. ვთქვათ, სახელმწიფომ აუქციონზე 1000 დოლარად გამოიტანა გარკვეული მიწის ნაკვეთი, ამ დროს კერძო პირს ანალოგიური ფართობის გაყიდვა 2000 დოლარად უნდა, ცხადია, ეს უკანასკნელი ამ ფასად ვერ გაყიდის, რა თქმა უნდა მყიდველი აუქციონის მეშვეობით შეიძენს სასურველ მიწას. ასე რომ, სახელმწიფო ქვევით ექაჩება ფასებს, მიწის სრული განკერძოების შემთხვევაში ის ფასზე ველარ იმოქმედებს.

მანანა სუხიშვილი
599 51 28 24

გარწმუნებთ, აღდგომის შემდეგ ყველაფერი სასიკეთოდ შეიცვლება!

ინტერვიუ გლდანის ყოვლადწმიდა ღმრთისმშობლის ეკლესიის წინამძღვართან მამა ბასილ მკალავიშვილთან



— მამა ბასილ, ეპისკოპოსების ბიზნესები ჰყავის თურმე, თქვენც ხომ რა გაქვთ ბიზნესი?

— სახელითა მამისათა და ძისათა და სულისა წმიდისათა. ჩვენთან არს ღმერთი!

რატომღაც საწყენია ის ფაქტი, რომ ბოლომდე ვერ ვაცნობიერებთ, რა ხდება საპატრიარქოში. 9-წლიანი ფაშისტური რეჟიმის დროს საპატრიარქო რომ ხელისუფლებიდან იმართებოდა, ამის მტკიცება არ ეგების, თუმცაღა მთავრობისა და ეკლესიის შეხმატკბილებული მოღვაწეობა გასული წლებიდან იღებს სათავეს.

ილია მეორე მოხუცდა, მას ეკლესიის მართვა არ შეუძლია. მოგეხსენებათ, ყველა პატრიარქი ყოველ შობის ღამეს წერს ანდერძს, სადაც აღნიშნულია, ვინ იქნება შემდგომი პატრიარქი. ეტყობა, ილია II ანდერძი დაწერილი ჰქონდა საავკაშვილისთვის მიუღებელ პიროვნებაზე. ამის გამო მისმა ერთგულმა ეპისკოპოსებმა (რომლებიც ისევ მისტირიან) გადაწყვიტეს პატრიარქის სავარძლის დაპატრონება. ამას იმ შემთხვევაში მიაღწევდნენ, თუ პატრიარქს ჩამოიცილებდნენ, სეიფის გასაღებს დაეპატრონებოდნენ და ანდერძს შეცვლიდნენ. როგორც ჩანს, მათ კოვზი ნაცარში ჩაუვარდათ, მიზანს ვერ მიაღწიეს.

რაც შეეხება ბიზნესებს, გეთანხმებით, მართლაც ჰყავის ეპისკოპოსთა ბიზნესი საქართველოში, რაც დიდი სჯულის კანონის მიხედვით, ყოვლად მიუღებელია. სააკაშვილის თანამოაზრე ეპისკოპოსები: პეტრე ცაავა, რომელსაც მარტვილის მთელი ბიზნესი ხელთ უპყრია, ქუთათელი მიტროპოლიტი კალისტრატე მარგალიტაშვილი, გრიგოლ ბერბიჭაშვილი და სხვები „წარმატებული“ ბიზნესმენები არიან. გრიგოლი, რომელიც ახლად აგებულ ეკლესიაში ფოთში გალობის ნაცვლად „მიშა მაგარია“-ს სიმღერით შევიდა.

მეკითხებით, მაქვს თუ არა ბიზნესი, გიპასუხებთ — კი, როგორ არა, ოღონდ განსხვავებული — „კაბინეტში“ არ ვზივარ და არ ვითვლი უზრუნველად შემოსულ თანხას, არამედ მრევლიდან შემოწირულობას ერთმანეთს ვაკოწიწებ და ჩემი „გაზ-24“-ით ვეზიდები სამშენებლო თუ მოსაპირკეთებელ მასალას ეკლესიისთვის. ძალიან მახარებს, როცა შევცქერით ჩვენივე ხელით შექმნილ სულიერ სავანეს. დიდება უფალს... მახარებს, რომ ნებისმიერი შემომსვლელი ეკლესიის ეზოში ჰპოვებს სულიერ სიმშვიდეს. ამაზე უკეთესი ბიზნესი შეიძლება არსებობდეს, რომ მომავალ თაობას რჩება ღვთის უდიდესი საუნჯე — სულიერი სიმდიდრე და არა მატერიალური, რომელსაც მტილი შეჭამს და დაღრღნის?!

— ჩვენ წინა ინტერვიუს დიდი ხმაური მოჰყვა. სხვა ეპისკოპესებისგან განსხვავებით, მეუფე იაკობს შემწყნარებლობით მოიხსენიებდით. ამან გააღიზიანა ზოგიერთი. მეუფე იაკობი მხედრიონის წევრი და კანონიერი ხელისუფლების დამამხობელი იყო, რატომ იწყნარებს მამა ბასილიო.

— მოდით, ჭორის დონეზე ნუ დავეცემით. იმ პიროვნებებს, რომლებიც მე განმიკითხავენ, შევახსენებ — არ მინდა ამის აღნიშვნა, მაგრამ, იძულებულს მხდიან, გამცნოთ, მთელი სიცოცხლე ღვთის ჭეშმარიტ სამსახურს მივუძღვენი. თამამად ვიტყვი, სჯულის კანონი იოტისოდენადაც არ დამირღვევია.

ყველამ გაიცნობიეროს ის გამსაცდელი და ტანჯვა, რაც ჩემმა მრევლმა ჩემთან ერთად გადაიტანა. ჩვენ თავი არსად შეგვიფარებია და კულისებიდან არ ვმოქმედებდით. შიშველი ხელებით და რწმენით, წმიდა ჯვრის ძალით ვებრძოდით მსოფლიო მწვალებლებს. მე ერის და ბერის რომ არ მტკიოდეს, ჩემ მშობლიურ სოფელში მშვენიერი ყოვლადწმიდა ღმრთისმშობლის ეკლესია მაქვს აღდგენილი, წავიდოდი, უზრუნველად, ლოცვით გავატარებდი სიბერეს, მაგრამ დღესაც მრავალწლიანი პატიმრობის გამო ჯანმრთელობაშერყეული, მუხლჩაუხრელად, დღე და ღამ ვშრომობ ეკლესიის მორჩილებთან, მსახურებთან ერთად, რათა დრო უქმად არ გავფლანგოთ. გავითავისოთ, რომ სხვისი ხელებით ნარ-ეკლის კრეფა ძალიან ადვილია.

მე არავინ შემიქია. პირფერობა ჩემგან შორს არის. აღვნიშნე ფაქტი, რომელიც რეალურად იკვეთებოდა, რომ მეუფე იაკობის მოწამვლას აპირებდნენ, რამეთუ ამ შემთხვევაში ის პატრიარქის მხარეს აღმოჩნდა, ხოლო „ნაცმოძრაობის“ ეპისკოპოსებს ჩანაფიქრი არ გამოუვიდათ.

— სოციალურ ქსელში წერენ: საბერძნეთის წმიდა სინოდმა მამა ბასილს საქართველოს საპატრიარქოსთან ბოლოდროინდელი დაახლოების გამო დიდი საყვედური გამოუცხადაო. მართალია ეს ამბავი?

— მსგავსი არაფერი მომხდარა. პირველ რიგში, საბერძნეთის წმიდა სინოდის წარმომადგენლები, რომელსაც დროებით ვემორჩილები, იმდენად კორექტულნი და შორსმჭვრეტელნი არიან, არასოდეს ჩაერევიან ქვეყნის საშინაო საქმეში. პირადად მე, ერთხელ კიდევ აღვნიშნავ, საქართველოს საპატრიარქოსთან არავითარი კავშირი არა მაქვს. კიდევ ერთხელ ვიტყვი: სანამ საქართველოს ეკლესია არ განიწმიდება უღირსი სასულიერო პირებისგან, სანამ არ ჩატარდება რუის-ურბნისის მსგავსი კრება, მე მათთან არაფერი მესაქმება. ეს მაშინ მოხდება, როცა თვით ხელისუფალი მორწმუნე იქნება. ის, ვინც ღმერთმა დაგვიდგინა ბატონი ზვიადის სახით, ჩვენვე განვდევნეთ. ხელისუფლებასთან და ეკლესიასთან ერთად მის განადგურებაში ლომის წილი ზვიადის გარემოცვას მიუძღვის. ვისაც ერთგული გარემოცვა ჰყავს, მას მტერი ვერაფერს დააკლებს. გავითვალისწინოთ, რომ უფლის შემდეგ თითოეულ ჩვენგანს ყველაზე დიდი განმსჯელი საკუთარი მე ჰყავს. ყველამ ჩავიხედოთ წარსულში — ვის რა ცოდვა ჩაგვიდენია. ეს შეიძლება ურთიერთს დავუმალოთ, მაგრამ უზენაესის თვალს ვერსად გავექცევით, რამეთუ ყველას გულის განმხილველია.

აქვე მინდა აღვნიშნო ერთი ფაქტი: ამას წინათ მიწვეული ვიყავი ტელეკომპანია „იბერიის“ ეთერში, სადაც განიხილებოდა ჩვენი ეკლესიის დარბევის მე-13 წლისთავი.

გასაოცარი იყო ის, რომ სოროსის გრანტებით გაზულუქებული ვინმე მალხაზ პატარაია, „თავისუფალი ზონის“ წარმომადგენელი და ყოფილი იეღოველთა ადვოკატი განგვიკითხავდა ჩვენ, ნაცვლად იმისა, პოლიტიკური შეფასება მიეცა 2004 წლის 12 მარტის ჩვენი ეკლესიის ბარბაროსული დარბევისთვის. ის ბრალს გვდებდა, იეღოველებს თავებს უჩეხავდით და სიგარეტებით წვავდითო. სიგარეტებით სხეულის ამოწვა პირსისხლიანი სააკაშვილისა და მისი ხროვის მეთოდია. რა გაუკეთეს ბატონ სულხან მოლაშვილს, ფეხები და სხეული სიგარეტით ამოუწვეს.

მე ვთქვი მაშინ: მაჩვენეთ კადრი, სადაც იქნება თავგაჩეხილი იეღოველი-მეთქი. ამ დროს კი ტრიალებდა ჩვენი დარბევის კადრები, სადაც მართლა უჩეხავენ და უმოწყალოდ სცემდნენ ხანშიშესულ ქალებს. ვინმე პატარაია ამ ამაზრზენ ფაქტს არ აძლევდა პოლიტიკურ შეფასებას და კვლავ იგესლებოდა. მადლობა უფალს, რომ დისკუსიაში მონაწილეობას იღებდა „დემოკრატიული მოძრაობა — ერთიანი საქართველოს“ წარმომადგენელი ბატონი ბესო დანელია და საქართველოს დემოგრაფიული საზოგადოების წარმომადგენელი ბატონი ზვიად ტომარაძე, ჭეშმარიტი მართლმადიდებელნი. ისინი იმჟამად მე კი არ მიცავდნენ, არამედ, ჩემთან ერთად იცავდნენ სიმართლეს, სარწმუნოებას, ერის სიწმიდეს, ტრადიციებს, ოჯახის სიწმიდეს, წინაპართა მონაპოვარს. ვლოცავ მათ და მადლობას ვწირავ უზენაესს, რამეთუ ჩვენი არსობის ყველა ეპოქაში აღნიშნულ ღირებულებებს ერისას საზოგადოების წარმომადგენელთაგან ღვთის რჩეულნი იცავდნენ. მე იმედი ჩამესახა, რომ იბერია არ გადაშენდება მიუხედავად უამრავი შინაური თუ გარეული მტრის შემოტევისა.

— სხვა მნიშვნელოვან გარემოებებთან ერთად, თქვენი პროტესტი საპატრიარქოსადმი ეკუმენისტებთან მჭიდრო კავშირიც იყო. რა ხდება ამ მხრივ, სრულიად გათავისუფლდა საქართველოს ეკლესია მწვალებლობისგან?

— მართალია, საქართველოს ეკლესიამ 1997 წელს დატოვა მსოფლიო ეკლესიათა ეკუმენისტური საბჭო, მაგრამ, სამწუხაროდ, კვლავ აგრძელებენ მათთან შეხვედრას. ავიღოთ თუნდაც რომის პაპის მიღება და სხვ.

მე 1995 წლიდან ვიბრძოდი, გამოსულიყვნენ ამ მწვალებლური, სულის წარმწყმედელი ორგანიზაციიდან, მაგრამ მაშინ ყურად არ იღეს, მხოლოდ 1997 წელს გამოეყვნენ მათ. მაშინ ხუთმა მონასტერმა გამოხატა პროტესტი ამ საბჭოში ყოფნის გამო. ამის შემდეგ იძულებული გახდა საპატრიარქო, გაეწყვიტა მათთან ურთიერთობა. მართალია, განდგომილთაგან ზოგიერთი ბერ-მონაზონი დაუბრუნდა საპატრიარქოს, მაგრამ არიან ისეთები, რომლებმაც ბოლომდე შეინარჩუნეს ჭეშმარიტი პოზიცია და უერთგულეს მართლმადიდებლობას, როგორიც არიან ამჟამად ჩვენს სინოდში მყოფი არქიმანდრიტი გრიგოლ კობახიძე. რა თქმა უნდა, ეს მათი ღვაწლიც არის.

— მამაო, გვიახლოვდება აღდგომა, როგორ დალოცავთ ერს, მრევლს, ქვეყანას.

— ჭეშმარიტად გვიახლოვდება აღდგომის უდიდესი დღესასწაული. ჩვენ ვხვდებით მას ღირსეულად? — რა თქმა უნდა, არა. ერში თუ ბერში არაფერია სათანადო დონეზე. მიუხედავად მრავალი დაპირებისა, მოსახლეობა კვლავ გასაჭირშია. კვლავ ლუკმა-პურს ქუჩაში დაეძებს, უმუშევარნი ამაოდ ითხოვენ სამუშაო ადგილებს. ხალხი გულგატეხილია, მოყტუებული. ეკლესიის წიაღში რაც ხდება, ჩემზე უკეთ იცით. მაგრამ არ არსებობს გასაჭირი, გამოსავალი რომ არ ჰქონდეს. საქართველოს თავისი არსებობის მანძილზე უფრო მეტიც გამოუვლია, შინაური თუ გარეშე მტრების შემოტევა მრავალჯერ მოუგერიებია, წამომდგარა და მძიმე ჯვარაკიდებულს უვლია ქრისტეს ეკლიან ბილიკზე. ახლაც, ამ მძიმე განსაცდელებით მივაბიჯებთ. შევთხოვ უფალს, უპირველეს ყოვლისა, გარდამოგვივლინოს აღდგომის მომასწავებელი ზეციური ცეცხლი, რომელიც იმედია იმის, რომ უფალი არ გვტოვებს, ზეციური ცეცხლის გარდამოსვლა აღდგომის წინა დღეს მორწმუნე ერზე, დამადასტურებელია იმისა, რომ მართლმადიდებლობა არის ერთადერთი ჭეშმარიტება ცხოვრებისა, სულის გადარჩენისა.

მე ჩემს ერს, მართლმადიდებელთ, ყოველთვის ვლოცავ პირად თუ საეკლესიო რიტუალების დროს.

გარწმუნებთ, ბრწყინვალე აღდგომის შემდეგ ყოველივე შეიცვლება სასიკეთოდ, როგორც საპატრიარქოში, ასევე ხელისუფლებაში, რამეთუ საქართველო უფლის რჩეული მიწაა, იგი ჩვენს ტანჯულ ერს არ გაწირავს და გადაარჩენს.

ჩვენთან არს ღმერთი! დაგლოცოთ უფალმან!

ირანდა კალანდაძე
593 56 11 18

გიორგი ბურჯანაძე:

პირველკლასელთა რეგისტრაციის წესი უნდა შეიცვალოს!

მშობელთა მოლოდინის მიუხედავად, გავრცელებული ინფორმაცია, რომ 2017-2018 სასწავლო წელს პირველკლასელად დარეგისტრირებას 6 წელს მიუღწეველი ბავშვებიც შეძლებდენ, არ დადასტურდა. „ეს ინფორმაცია რეალური არ არის. ახალი ინიციატივა პარლამენტში არ ყოფილა დარეგისტრირებული და ზოგადი განათლების შესახებ კანონის თანახმად, სკოლაში შესვლის ასაკად კვლავ რჩება 6 წელი. ანუ, 15 სექტემბერს ბავშვი უნდა იყოს 6 წლის, რომ სკოლაში შევიდეს“— განაცხადა განათლების მინისტრის მოადგილემ ლია გიგაურმა. თუმცა, ეს ერთადერთი პრობლემა არ არის, რაც პირველკლასელებს და მათ მშობლებს აღელვებთ, რადგან ელექტრონული რეგისტრაციის წესის შემოღების შემდეგ, უამრავი ოჯახისთვის შვილის სასურველ სკოლაში შეყვანა გადაულახავი პრობლემა გახდა. საქმე ის გახლავთ, რომ პირველ ეტაპზე რეგისტრაციის უპირატესობა იმ მოსწავლეებს აქვთ, რომელთა დედმამიშვილები აღნიშნულ სკოლაში სწავლობენ ან მშობლები მუშაობენ. მეორე ეტაპზე ის მოსწავლეები რეგისტრირდებიან, რომლებმაც პირველ ეტაპზე დარეგისტრირება ვერ მოახერხეს, მესამე ეტაპზე კი ყველა დანარჩენი. ვისაც ე.წ. პრესტიჟულ სკოლაში შვილის შეყვანა უცდია, იცის, რომ მეორე და მესამე ეტაპზე მოსწავლის დარეგისტრირების შანსი თითქმის ნულის ტოლია. შესაბამისად, რადგან პირველკლასელთა რეგისტრაციის დროს, ტერიტორიული პრინციპი აღარ მოქმედებს, შესაძლოა, „პრესტიჟული სკოლის“ გვერდით მაცხოვრებელ ბავშვს რამდენიმე კვარტლით მოშორებულ სკოლაში სიარული მოუწიოს, მის სახლთან მდებარე სკოლაში კი ქალაქის მეორე ბოლოდან მოსულმა ბავშვმა ისწავლოს.

რამდენად სამართლიანია ერთი დღისა თუ კვირის გამო, სასწავლო წლის გაცდენა და რა პრობლემებს უქმნის პირველკლასელთა რეგისტრაციის წესში ტერიტორიული პრინციპების არარსებობა მოსწავლეებს და მათ მშობლებს? ამ და სხვა თემებზე „იურიდიულ და ფიზიკურ პირთა უფლებების დაცვა- ანტიკორუფციული კავშირის“ თავმჯდომარე გიორგი ბურჯანაძე გვესაუბრა:

— როგორც უკვე იცით, პირველკლასელთა რეგისტრაციის წესში არაფერი შეცვლილა და ყველაფერი ისეა, როგორც აქამდე იყო. აღსანიშნავია, რომ ეს პრობლემა განსაკუთრებით, ბიჭების მშობლებს აწუხებთ, რადგან 12 კლასის დამთავრებისთანავე, ახალგაზრდას სავალდებულო სამსახური უწევს. ვფიქრობ, 16 სექტემბერს დაბადებულ ბავშვს ერთი წელი არ უნდა ეკარგებოდეს და ამ პრობლემის მოგვარება გაცილებით მარტივად და უმტკივნეულოდ იყო შესაძლებელი. წინა წლებში, ბევრმა მშობელმა გამოსავალი შვილის კერძო სკოლაში მიყვანაში იპოვა, მაგრამ გაუგებარია, იმ მშობლებმა რა უნდა ქნან, ვისაც კერძო სკოლაში შვილის ტარების საშუალება არ აქვს და რატომ არ ვრცელდება კანონმდებლობა საჯარო და კერძო სამართლის იურიდიულ პირებზე თანაბრად? რაც შეეხება მეორე პრობლემას, იმის გამო, რომ პირველკლასელთა რეგისტრაციის დროს ტერიტორიული პრინციპი აღარ მოქმედებს, ბავშვები სასწავლებლად ქალაქის ერთი ბოლოდან მეორეში მიჰყავთ და სკოლის გვერდით მაცხოვრებელს ბავშვი იძულებული ხდება სახლიდან მოშორებით სკოლაში იაროს.

— რაც გზებზე გართულებულიმდგომარეობის გათვალისწინებით, სულ უფრო სახიფათო ხდება.. ახლახან, დიღომში მომხდარ ავარიას სკოლაში მიმავალი ბავშვის სიცოცხლე შეიწირა..

— სამწუხაროდ.. ხშირად მშობელი თავად ირჩევს, რომ შვილი სახლთან მოშორებით მდებარე „პრესტიჟულ“ სკოლაში ატაროს. ვიღაცას საშუალება აქვს, რომ ბავშვი სკოლამდე მანქანით მიიყვანოს ან მძღოლი დაუქირავოს, მაგრამ ვისაც ეს არ შეუძლია, რატომ ვუსპობთ საშუალებას, რომ შვილი მეზობლად მდებარე სკოლაში ატაროს? მე ერთეულ შემთხვევებზე არ მოგახსენებთ, რადგან ასეთი ასობით შემთხვევაა. დიახ, გზაში გადაადგილებას გარკვეული რისკები ახლავს. ამას დავუმატოთ სკოლაში დისციპლინის მოშლისა და ქუჩაში კრიმინალის მატების ფაქტები და მშობლების შიში სკოლიდან ბავშვის დაგვიანებისშემთხვევებზე სავსებით გასაგები იქნება.



— იმის თქმის საფუძველს, რომ სკოლებში დისციპლინა მოიშალა, რა გაძლევთ?

— ძალიან ბევრი შემთხვევები გვაქვს, რომ სკოლის მოსწავლეები ერთმანეთის ტელეფონებს ალომბარდებენ. შიშის გამო, ბავშვი სახლში ამბობს, რომ ტელეფონი დაკარგა, მაგრამ მოგვიანებით ეს ტელეფონები ლომბარდებში აღმჩნდა. ამას ემატება სკოლებში ფულის აკრეფის, საქმის გარჩევებისა და ფსიქოტროპული მედიკამენტების მოხმარების ფაქტები. აღარაფერს ვიტყვი იმაზე, რომ არასრულწლოვანთა პროსტიტუციამ არნახული მასშტაბები მიიღო. სამწუხაროდ, სკოლის მანდატურები ასეთ თემებზე ხმამაღლა ვერ საუბრობენ, მაგრამ უფლებადამცველ ორგანიზაციებს გვაწვდიან ინფორმაციას, რომ მათი უფლებები მნიშვნელოვნად შეზღუდულია და ამ უმსგავსობას მხოლოდ შორიდან ადევნებენ თვალს. სკოლამ და ოჯახმა კოორდინირებულად უნდა იმუშაონ, რომ მსგავსი ფაქტები ყურადღების მიღმა არ დარჩეს. ამიტომ ვამბობ, რომ რისკების შესამცირებლად, სასურველია, ბავშვმა სახლთან ახლოს ისწავლოს, სადაც ოჯახს მეტი კონტროლის საშუალება ექნება. ვიღაცამ ზემოთ ჩამოთვლილ საფრთხეებზე აუცილებლად უნდა იფიქროს და პირველკლასელის რეგისტრაციის დროს, ტერიტორიულ ფაქტორს უპირატესობა მიანიჭოს.

— თქვენი აზრით, სკოლებში დისციპლინის მოშლა კონტროლის შესუსტების ბრალია?

— ასე ვერ ვიტყოდი.. ყველა ვხედავთ იმ პრობლემებს, რომლებიც ოჯახების უმეტესობას აქვს. ეს იქნება საბანკო ვალდებულებები თუ სხვა.. როცა ბავშვი ხედავს, რომ ვიღაცას აიფონის ბოლო მოდელი აქვს, მას კი სრულფასოვანი კვება არა აქვს, პროტესტის განცდა უჩნდება, რომელსაც სხვადასხვანაირად გამოტახავს: ართმევს, გამოსძალავს ან ატყუებს.. სამწუხაროდ, მძიმე სოციალური ფონი ზოგიერთ ადამიანს კრიმინალური ქმედებისკენ უბიძგებს და ასეთი შემთხვევებისრაოდენობა იზრდება. ეს სერიოზული პრრობლემაა, რომელზეც სახელმწიფომ, საზოგადოებამ, ფსიქოლოგებმა და პედაგოგებმა ერთად უნდა იფიქრონ. ვიფიქროთ და ვიმოქმედოთ, სანამ დროა, სანამ ჯერ კიდევ არ არის გვიან..

როგორც ჩანს, განათლების სისტემაში კომბლეს მორალურ-ზნეობრივ ასპექტებზე სერიოზული საკითხებია განსახილველი. რაც შეეხება 2017-2018 სასწავლო წლისთვის პირველკლასელთა რეგისტრაციის დაწყებას, განათლების სამინისტროს ჯერჯერობით, კონკრეტული თარიღი არ დაუსახელებია. გავრცელებული ინფორმაციით, ამის შესახებ სამინისტრო განაცხადს წინასწარ გააკეთებს.

ნელი თორდია
571 35 36 88

დუშეთი - საქართველოს კარიბჭე

ვაჟა (გიზო) ჩოხელი

დაბადების თარიღი: 15 ნოემბერი, 1967 წელი;
საცხოვრებელი ადგილი: ქ. დუშეთი;
განათლება: საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი;
პროფესია: ინჟინერ-მშენებელი;
დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგებელი 2013 წლიდან.

გვესაუბრება დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგებელი ვაჟა ჩოხელი

— ბატონო ვაჟა, როგორია თქვენი დამოკიდებულება მუნიციპალიტეტისადმი. რა პრობლემ,ები და პრიორიტეტებია გამოკვეთილი. როგორ უყურებთ მუნიციპალიტეტის პერსპექტივებს?

— დუშეთი გამორჩეული რეგიონია. მისი ფართობი მთლიანად 2982 კვ.მ-ს მოიცავს და 18 ადმინისტრაციულ ერთეულს აერთიანებს.

ფშავი, ხევსურეთი, მთიულეთი, გუდამაყარი, დუშეთის მუნიციპალიტეტის შემადგენლობში შედის. მართლაც გამორჩეულია ჩვენი მხარე არა მხოლოდ თავისი ბუნებრივი მდებარეობით, არამედ განსაკუთრებული ხალხითაც, ტრადიციები, ადათი ისეა შემორჩენილი, რომ, როცა ეხები ამ რეალობას, ხვდები, რა მდიდარია ჩვენი ქვეყანა, თუმცა მთაში უპრეტენზიო ხალხი ცხოვრობს. მთის სიმკაცრეს მიჩვეული ადამიანი ბევრს არ ითხოვს, მაგრამ რასაც ითხოვს, უნდა იცოდე, რომ არის აუცილებელი.

მაღალმთიანი რეგიონების განვითარების შესახებ მიღებულმა კანონმა, რომლის შემუშავებაშიც დიდი წვლილი შეიტანეს დეპუტატებმა- ირაკლი ტრიპოლსკიმ, ზაქარია ქუცნაშვილმა და მირიან წიკლაურმა, დადებითი შედეგები გამოიღო. 7000 ადამიანზე მეტს მიენიჭა მაღალმთიან რეგიონში მაცხოვრებლის სტატუსი.

მთაში დაბრუნდა 458 ადამიანი და დაფუძნდა მუდმივ მაცხოვრებლად.

ამას გარდა, სხვა პროექტებიც ხორციელდება. მაგალითად, პროგრამა „აწარმოე საქართველოში" — ეკონომიკისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროების დახმარებით მცირე ბიზნესის ხელშეწყობის პროგრამის ფარგლებში 780 000 ლარი გაიცა თანადაფინანსებით. მცირე საწარმოების განვითარებისთვის მთიან რეგიონებში. პრიორიტეტულია კოოპერატიული საწარმოების შექმნა რეგიონში. უკვე ჩამოყალიბებულია რამდენიმე კოოპერატივი.

ამას წინათ უკანა ფშავში გვქონდა შეხვედრა, რომელსაც ესწრებოდა სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილე გიორგი ხანიშვილი, კოოპერატივების განვითარების სააგენტოს წარომადგენლები. დაიგეგმა კოოპერატივის ჩამოყალიბება მსხვილფეხა პირუტყვის მოშენების პერსპექტივით შეიქმნება რძის გადამამუშავებელი საწარმო. ჩემი აზრით, ეს იქნება მართლაც საპილოტე პროექტები, რომლებიც შემდგომ სხვაგანაც განხორციელდება — ხევსურეთშიც, გუდამაყარში და ა. შ.

გარემოს დაცვის სამინისტროსა და უცხოური დონორი ორგანიზაციების დახმარებით, შეიქმნა ფშავ-ხევსურეთის დაცული ტერიტორიები (ეროვნული პარკი), სადაც დასაქმდება ადგილობრივი მოსახლეობა, რეინჯერებიც აქაურები არიან. ისინი მოუვლიან და გაუფრთხილდებიან ადგილობრივ ლანდშაფტს, გარემოს.

დაცული ტერიტორიების ეროვნულ სააგენტოსთან ერთად ვმუშაობთ ვმუშაობთ პირაქეთა ხევსურეთის, ფშავისა და გუდამაყრისათვის დაცული ლანდშაფტის სტატუსის მინიჭებასთან დაკავშირებით. სამხარეო ადნისტრაციასთან და უცხოელ პარტნიორ ორგანიზაციებთან გავმართეთ სამუშაო შეხვედრები საჭირო კანონპროექტის შემუშავების საკითხზე; დაცული ლანდშაფტის სტატუსი გულისხმობს მხარის სოციალური და გარემოს დაცვითი კუთხით განვითარებას, ადგილობრივ დონეზე ეკონომიკური, სამეწარმეო და სამეურნეო მიმართულებების ხელშეწყობასა და ტურისტული ინფრასტრუქტურის მოწყობას. სტატუსის მინიჭება ერთერთი მნიშვნელოვანი ხელშემწყობი ფაქტორი იქნება მაღალმთიან სოფლებში ადგილობრივი მოსახლეობის დაბრუნებისა და მიგრაციის პრევენციისათვის.

მნიშვნელოვანია, რომ 6-18 წლამდე ბავშვებისათვის, რომლებიც ცხოვრობენ დუშეთის მუნიციპალიტეტის ტერიტოირიაზე შემავალ დასახლებულ პუნქტებში და სკოლებიდან დაშორებულნი არიან რამდენიმე კილომეტრით, ფუქნციონირებს **„მოსწავლეთა ხელშეწყობის ცენტრი"**, რომელიც 29 მოსწავლეს ემსახურება. თავისი საქმიანობით ცენტრი ხელს უწყობს სკოლის ასაკის ბავშვთა ნორმალურ აღზრდას, მათთვის ოჯახურ გარემოსთან მიახლოებული პირობების შექმნას, ბავშვების გონებრივ, ემოციურ და ფიზიკურ განვითარებას. **„მოსწავლეთა ხელშეწყობის ცენტრის"** შემადგენლობაშია სამი ფილიალი, რომლებიც მდებარეობს მაღაროსკარში, ბარისახოსა და შატილში.ამ დაწესებულებებს მუნიციპალიტეტი ადგილობრივი ბიუჯეტით ინახავს. შენობები, სადაც ფილიალებია განთავსებული, უმძიმეს მდგომარეობაში გადმოგვეცა განათლების სამინისტროსაგან. განსაკუთრებით რთული მდგომარეობა იყო ბარისახოსა და მაღაროსკარში, ამიტომ მათი რეაბილიტაცია გადავწყვიტეთ, საჭირო თანხებიც გამოყოფილია: მაღაროსკარის ფილიალისთვის- 27,998 ლ., ხოლო ბარისახოს ფილიალისთვის- 35, 800 ლ. ჩვენთვის მნიშვნელოვანია, ბავშვები ნორმალურ და ჯანსაღ გარემოში გვყავდეს.

გასულ წელს 13 საბავშვო ბაღის სრული რეაბილიტაცია მოვახდინეთ. ქალაქ დუშეთშიც კი შეშის ჟანგიანი ღუმელები ედგათ. პატარები ერთ ოთახში ჰყავდათ შეყუჟული, საძინებელიც ის იყო, სასადილოც და სათამაშო ოთახიც.

ყველგან, სადაც ბუნებრივი აირია, საბავშვო ბაღში ცენტრალური გათბობის სისტემები დავამონტაჟეთ, მოვაწყვეთ იმ სტანდარტების შესაბამისად, რომელსაც სურსათის ეროვნული სააგენტო ითხოვს. Gგარდა ამისა, რემონტდება კიდევ ოთხი ბაღი, რომლებიც სრული რემონტით, შემოდგომისთვის უკვე მზად იქნება.

დიდი მადლობა მინდა ვუთხრა ენერგეტიკის სამინისტროს, რომლის დახმარებითაც ელექტროენერგია იმ 7 სოფელსაც მიეწოდა, სადაც არასდროს ყოფილა. მიმდინარეობს დუშეთის მუნიციპალიტეტის სრული გამრიცხველიანება, რომელიც მიმდინარე წლის ივნისში დასრულდება.

აღსანიშნავია, რომ 134 სოფელში განვახორციელეთ წყლის სისტემების რეაბლიტაცია, მაგალითად, სოფელ ანანურში, რომელიც ერთ-ერთი დიდი სოფელია მუნიციპალი-

8 გვ.



სოციალური პროგრამები (2014-2016 წწ)

უფასო სასადილოთი ყოველწლიურად სარგებლობს 110 ბენეფიციარი, სულ გაცემულია 280 542 ლ.

მედიკამენტებით უზრუნველყოფილი იქნა 752 მოქალაქე, გაცემულია 115 000 ლ.

სამედიცინო მომსახურებით ისარგებლა 1108 მოქალაქემ, გაცემულია 355 920 ლ.

ერთდჯერადი ფინანსური დახმარება გაეწია 2125 მოქალაქეს, გაცემულია 262 370 ლ.

ერთჯერადი დახმარების პროგრამით პირველ შვილზე, ისარგებლა 57 სოციალურად გაჭირვებულმა ოჯახმა, გაცემულია 11 400 ლ.

გარდა ამისა, დახმარება გაეწია 52 შშმ პირს.

სტუდენტთა მგზავრობის ხელშეწყობის პროგრამის ფარგლებში, ყოველწლიურად შეღავათით სარგებლობს 165 სტუდენტი.

ინფრასტრუქტურა

სულ დუშეთის მუნიციპალიტეტში განხორციელდა 69565,7 მ. სიგრძის საავტომობილო გზის რეაბილიტაცია, მათ შორის 20795,7 მ. დაიფარა ასფალტ-ბეტონის საფარით. გზების რეაბილიტაციაზე დაიხარჯა 5,043,100 ლ.

ამჟამად დაგეგმილია სოფელ ჩანადირებიდან მლაშეში მისასვლელი საავტომობილო გზის მოასფალტება და სოფელ გრიგოლაანთკარიდან სოფელ ჩირდილელიაანთკარში მისასვლელი გზის მოასფალტება, სულ გამოყოფილია - 2062829 ლ.

ქ. დუშეთში რეაბილიტაცია ჩაუტარდა 21 ქუჩას, კერძოდ, შამანაურის ჩიხს, შამანაურის პირველ შესახვევს, მწითურის მეორე შესახვევს, ვაჟა-ფშაველას, ობსერვატორიის, ბაჩანას, მწითურის, ჭავჭავაძის, კოსტავას, ბექიშვილის, ბესიკის, ბრაჭულის, დადიანის, თეატრის, ბექაურის, საакаძის, რაზიკაშვილის, იოსელიანის, ერეკლე II-ის, არაგვისპირელისა და საავადმყოფოს გვერდით ქუჩებს.

ნაპირსამაგრი სამუშაოები განხორციელდა 4357 გრძივ მეტრზე. სარწყავი და სანიაღვრე არხებისა და ნაპირსამაგრების სარეაბილიტაციო სამუშაოებზე- 239, 200 ლ.

მუნიციპალიტეტის მასშტაბით, წყალმომარაგების სისტემა მოწესრიგდა 134 სოფელში. გაკეთდა 5 ახალი ჭაბურღილი. (სოფლებში: კოდისწყარო, ჭილურტი, ოძისი, ბაზალეთი, პირმისაანთკარი) სულ, წყლის სისტემის სარეაბილიტაციო სამუშაოებზე გაცემულია 868,300ლ.

აშენდა 51 ახალი საავტომობილო ხიდი. (34 ხიდ-ბოგირი, ფილა - 17)

სხვადასხვა სოფლებში აშენდა სარიტუალო დარბაზები, სულ - 15.

რეაბილიტირდა ყოფილი მუსიკალური სკოლის შენობა, ამჟამად მიმდინარეობს კულტუ-

დუშეთი - საქართველოს კარიბჭე

7 ბბ.

ტეტში, 7 კმ-იდან გამოვიყვანეთ წყალი და ამჟამად, მუდმივად მიმდინარეობს მისი წყალმომარაგება. თუმცა სოფლის წყლის პრობლემა კვლავ რჩება ერთ-ერთ პრიორიტეტად.

2012 წლამდე ქალაქის მხოლოდ 25% იყო გაზიფიცირებული, მთელი ქალაქის უზრუნველყოფა ბუნებრივი აირის მიწოდებით 2013 წელს მოვახდინეთ. ქალაქის მიმდებარე სოფლებიც სრულად მოიცვა ამ პროექტმა, გაზიფიცირდა, აგრეთვე, 15 სოფელი მუნიციპალიტეტის მასშტაბით.

— გასაგებია. ძალიან კარგი, მაგრამ რა კეთდება მუნიციპალიტეტში იმისთვის, რომ მოსახლეობა დასაქმდეს, შესაბამისად, დამაგრდეს აქ და ის სიკეთეები, რომელთა განხორციელებას აპირებთ, რეალურად, გამოიყენონ ადამიანებმა. ალბათ, მიზანიც ეს არის, არა?

— ამაზე ბევრი მიფიქრია, რა თქმა უნდა, მთავარი არის მოსახლეობის სოციალური და ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება.

როგორც აღვნიშნე, 780 000 ლარის თანადაფინანსება მოხდა სახელმწიფოსგან სოფლის მეურნეობის განვითარებისთვის. თუმცა ეს არ კმარა.

გვსურს დავაარსოთ პროფესიული გადამზადების ცენტრი, სადაც ახალგაზრდები შეიძენენ პრაქტიკულ ცოდნას. განათლების სამინისტროს გადავეცით ყოფილი პოლინლინიკის შენობა, ცენტრის მოსაწყობად.

სკოლებში ჩავატარეთ კვლევა, იმის გასარკვევად, და სწორედ ახალგაზრდების პრიორიტეტების გათვალისწინებით შევარჩიეთ ის მიმართულებები, რომლებიც მუნიციპალიტეტის სპეციფიკიდან გამომდინარე აუცილებელია და სასწავლო კურსებად უნდა დაინერგოს.

გავხსენით სხვადასხვა საწარმოები: ორი სასათბურე მეურნეობა ჭოპორტის ადმინისტრაციული ერთეულის სოფელ ბულაჩაურში. აღსანიშნავია, რომ მეურნეობა ითვალისწინებს ბიოლოგიურად სუფთა მარწყვისა და პომიდვრის მოყვანას; ხილისა და კენკრის შეგროვება - გაშრობა - გადამუშავების საწარმო- სოფელ ხანდოში, სოფელ მაღაროსკარში გახსენით კოოპერატიული საწარმო- „ფუტკრის სახლი ფშავში“ . მოსახლეობა გაერთიანდა კოოპერატივებში.

მოგეხსენებათ , რომ მსხვილ ბაზრებზე დიდი მოთხოვნაა გამხმარ ხილზე, ტყის კენკრასა და ზოგადად, ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტზე. ამ კუთხითაც ინტენსიურად ვმუშაობთ, მაგრამ, კვლავ ვამბობ, ცოდნა, განათლება აუცილებელია, რომ ყველაფერი თანამედროვე სტანდარტების დონეზე მოხდეს.

მნიშვნელოვნად გაიზარდა საოჯახო სასტუმროების რიცხვი, მოდის უამრავი ტურისტი გუდაურის, ფშავ-ხევსურეთის მიმართულებით. ვიწყებთ გზის რეაბილიტაციას ჟინვალი-თვალივის მიმართულებით ისე, რომ თანამედროვე სტანდარტების გზა ხევსურეთამდე მივიდეს. კეთდება როშკა-არხოტის გზა, რომელიც ძალიან მნიშვნელოვანია.

— კარგია მიღწევებზე საუბარი, მაგრამ გაითვალისწინეთ, თქვენ გყავთ ოპონენტები, რომლებიც ნაციონალურ წარსულს გახსენებენ და კორუმპირებულობაში გდებენ ბრალს.

— არაფერი არ მაქვს დასამალი ჩემს შესახებ, თუმცა რასაც ახლა ვიტყვი არსად არ მითქვამს:

სტუდენტობის პერიოდში აქტიურად ვიყავი ჩართული ეროვნულ მოძრაობაში.

უმაღლესი სასწავლებლის დამთავრების შემდეგ მქონდა შესაძლებლობა და შემოთავაზება, რომ საჯარო სამსახურებში საპასუხისმგებლო თანამდებობებზე მემუშავა, მაგრამ, რადგან არ მწამდა შინაგანად მათი, იმ ხელისუფლების, ამის გამო თანამდებობებს არ დავხარბებივარ.

უნდა გითხრათ, 2003 წელს ვუთანაგრძნობდი შევარდნაძის რეჟიმის მიწინააღმდეგეებს, თუმცა აქვე დავძენ, არც ერთ მათგანს პირადად არ ვიცნობდი. მათ რომ მხარს ვუჭერდი, ვფიქრობდი, რომ ვეწინააღმდეგებოდი იმ ძალებს, რომლებიც სამხედრო გადატრიალების შედეგად მოვიდნენ ხელისუფლებაში და ეს იყო ქვეყნისთვის დაღუპვის ტოლფასი, მით უფრო, რომ ყველას თვალწინ ჩაიარა ამ ნგრევამ და უბედურებებმა, რაც მაშინ დატრიალდა ჩვენს ქვეყანაში.

2004 წელს „ნაცმოძრაობიდან“ თვითონ დამიკავშირდნენ და მთხოვეს ადგილობრივ არჩევნებში დუშეთის მაჟორიტარ კანდიდატად მეყარა კენჭი.

დავთანხმდი მაშინ ამ წინადადებას, რადგან მიმაჩნდა, რომ პროგრესისკენ მიდიოდა ქვეყანა და მე ამაში ჩემი წვლილი უნდა შემეტანა.

მერე აღმოჩნდა, რომ იმ ხანებში „ნაცმოძრაობაში“ შიდა დაპირისპირება იყო, ზოგს ჩემი კანდიდატურა მოსწონდა, სხვებს სხვა ვინმე მიაჩნდათ დუშეთში ღირსეულ კანდიდატად და 2006 წლის ნოემბერის არჩევნებში ჩემი გამარჯვების შემდეგ „ნაცმოძრაობამ“ დუშეთში სპეცდანიშნულების რაზმიც კი გამოაგზავნა, დაერივნენ ხალხს და იყო ერთი ამბავი. აი, ასე დაგვსაჯეს, ამას მაშინ დიდი ხმაური მოჰყვა. ტელეკომპანიები სიახლეებს დუშეთში მიმდინარე მოვლენების გაშუქებით იწყებდნენ. თუმცა ჩემთვის მთავარი იყო ხალხის ნდობა, სწორედ ეს მაძლიერებდა.

— სპეცრაზმი რატომ გახდა საჭირო?

—შიდა დაპირისპირების მოედანი იმჯერად დუშეთი აღმოჩნდა. სხვათა შორის, მერეც ბევრჯერ განმეორდა ასეთი მოვლენები სხვადასხვა ადგილას, სხვადასხვა სიტუაციებში.

მთლიანობაში სამჯერ ვარ არჩეული საკრებულოს წევრად. პირველად 1991 წელს სტუდენტობისას, მერე 2002 წელს და 2006-ში.

„ნაცმოძრაობის“ მმართველობისას არავითარი სამსახური არ მქონია. 2010 წლამდე ვიყავი საკრებულოში დამოუკიდებელი ფრაქციის თავმჯდომარე, ჩემს თანამოაზრეებთან ერთად. მოგეხსენებათ მაშინ რაც ხდებოდა. ხალხი ჩურჩულს ვერ ბედავდა, ყველგან დამსმენები იყვნენ. ყოველივე ამის ფონზე, 2012 წელს, მეგობრებთან ერთად, აქტიურად ჩავერთე „ქართული ოცნების'' საარჩევნო კამპანიაში. სწორედ, ამ პერიოდში დაგვიყადაღეს სახლ-კარი, იყო დაპატიმრების მცდელობაც. მაგრამ ყოველთვის მქონდა და მაქვს ჩემი ხალხის, ჩემი თანაქალაქელების იმედი. ვიცოდი, თუ არჩევნებზე გავიდოდი — გავიმარჯვებდით. ასეც მოხდა, დღეს, დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგებელი ვარ, ადვილი არ არის, ძალიან დიდი პასუხისმგებლობაა.

ასე დეტალურად იმიტომ

რის სახლის სარეაბილიტაციო სამუშაოები, რომელიც მიმიდნარეთვეში დასრულდება, სულ კულტურის სახლის სარეაბილიტაციოდ გაიცა 169, 600 ლ.

ჯანსაღი ცხოვრების ხელშესაწყობად აშენდა 7 ახალი საფეხბურთო მოედანი.

გაზიფიცირდა დუშეთის მუნიციპალიტეტის 10 სოფელი, 6 დასახლება და ქალაქი დუშეთი სრულად.

უშუქო სოფლების ელექტროფიცირების პროექტის ფარგლებში, ელექტროენერგია მიეწოდა 7 სოფელს. (კაწალხევი, ნოჯა, კოშკასველი, ნოჯიკეთი, ქვემო და ზემო ღარისწყალი, მუცო).

მუნიციპალიტეტის მასშტაბით, სკოლამდელი აღზრდის ცენტრის მოქმედი 14 ფილიალიდან 12-ს, რომლებიც მოეწყო თანმედროვე სტანდარტების შესაბამისად. სამუშაოებზე დახარჯულია - 740, 900 ლ. ამჟამად, სამუშაოები მიმდინარეობს 4 ფილიალში (ჭართალში, ოძისში, ბულაჩაურსა და ქვეშეთში).

ქ. დუშეთში და 3 სოფელში (ზოტიკაანთკარი, პოვლეური, ცივწყარო) განხორციელდა ბაზრების რეაბილიტაცია. მხოლოდ დუშეთის ბაზრის რეაბილიტაციაზე დაიხარჯა - 140, 099, 0 ლ.

ამჟამად, მიმდინარეობს გამრიცხველიანება. დასრულდება 2017 წლის ზაფხულში და გამრიცხველიანდება დუშეთის მუნიციპალიტეტის ყველა სოფელი.

მეწარმეობის ხელშეწყობა

ამჟამად დასრულებულია პროექტის „აწარმოე საქართველოში" სამი ეტაპი, სულ დაფინანსდა 112 პროექტი, 189 ბენეფიციარი, თანადაფინანდებით გაცემულია 780 001 ლ.

კულტურა, განათლება, სპორტი, ახალგაზრდობა

ალ. რონინშვილის სახელობის საბიბლიოთეკო გაერთიანების 5 ფილიალი (დუშეთი, წოპორტი, ანანური, ფასანაური, დავთი) აღიჭურვა კომპიუტერული ტექნიკით, ინტერნეტით და მრავალფუნქციოური ლაზერული პრინტერებით. შეიქმნა წიგნადი ფონდის ელეტრონული ბაზები.

ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტოს მხარდაჭერით სოფ. ჭოპორტში გაიხსნა ინოვაციების ცენტრი.

მოსწავლეთა ხელშეწყობის ცენტრის ბაზაზე არსებულ ორ ფილიალში მაღაროსკარსა და ბარისახოში, მიმდინარეობს სარეაბილიტაციო სამუშაოები, გამოყოფილია თანხები:

ბარისახოს მოსწავლეთა ხელშეწყობის ცენტრის ფილიალისათვის - 35, 800 ლ.

მაღაროსკარის მოსწავლეთა ხელშეწყობის ცენტრის ფილიალისათვის - 27, 998 ლ.

წარმატებული სპორტსმენებისა და მათი მწვრთნელების წახალისების პროგრამის ფარგლებში ერთჯერადი ფულადი ჯილდო გადაეცა 22 სპორსტსმენსა და 12 მწვრთნელს.

ახლგაზრდული აქტივობების ხელშესაწყობად ხორციელდება სხვადასხვა ღონისძიებები: ფესტივალები, კონკურსები, კვირეულები, სპექტაკლები, გამოფენები და სხვ. აღსანიშნავია „ახალგაზრდული დღეები 2016“, სადაც მონაწილეობა მიიღო 50-მა ახალგაზრდამ.

ვყვები ამ ამბავს, რომ მუდმივად მიდის საუბრები ჩემს ყოფნაზე „ნაცმოძრაობაში“ – რა კავშირებიც გამაჩნდა მათთან, აი, გიყვებით თქვენ. გავიმეორებ, სხვაგან არასდროს მითქვამს და მეტად ამას აღარც გავიმეორებ. მიმაჩნია, თავის სამართლებელი არაფერი მჭირს.

— **როგორ ხდება კადრების შერჩევა თქვენს მუნიციპალიტეტში?**

— ჩვენ გახლავართ ერთერთი პირველები, რომლებმაც ჩავატარეთ კონკურსი 2013 წელს, შევქმენით საკონკურსო-საატესტაციო კომისია, კონსულტაციები გავიარეთ სხვადასხვა ორგანიზაციებთან, მათ შორის, UNDP-ისა (გაერთიანებული ერების ორგანიზაციის განვითარების პროგრამა) და თვითმართველობის საკითხებზე მომუშავე ორგანიზაციებთან. ჩვენი მიზანი იყო კონკურსის გამჭვირვალობა და პროფესიონალი, კვალიფიციური კადრების შერჩევა. მოვიწვიეთ საზოგადოებისათვის ცნობილი და ავტორიტეტული ადამიანები: მეცნიერებათა აკადემიის ვიცე პრეზიდენტი, საჯარო მოხელეთა პროფკავშირების თავმჯდომარე, არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები და სხვა. კონკურსანტებმა სწორედ ამ შემადგენლობის კომისიასთან გაირეს კონკურსის მეორე ეტაპი-გასაუბრება და შევარჩიეთ კადრები.

გამგეობის თანამშრომლები არიან ადგილობრივები, სხვადასხვა სამსახურებში - კულტურის, ფინანსურ, საინფორმაციო, იურიდიულსა და ადმინისტრაციულში დასაქმებულნი არიან ახალგაზრდები, რომლებიც გამოცდილების მქონე სპეციალისტებთან ერთად კოორდინირებულად მუშაობენ და კეთილსინდისიერად ასრულებენ დაკისრებულ მოვალეობას.

აი, ჩემი მოადგილე ბექა ღარიბაშვილი გახლავთ, ნიჭიერი, შრომისმოყვარე ახალგაზრდა, რომელიც მშვენივრად ართმევს თავს ამხელა პასუხისმგებლობას.

ჩემთვის, როგორ ხელმძღვანელისთვის მნიშვნელოვანი და საინტერესოა ახალი ხედვა, ცოდნის გაღრმავება, ამიტომ მაქსიმალურად ვუწყობ ხელს თანამშრომლების პროფესიულ განვითარებას. ამჟამად, მაგალითად, მოადგილესთან და სხვადასხვა სამსახურების უფროსებთან ერთად, მე თვითონ გავდივარ სასწავლო კურსს ფინანსთა სამინისტროს აკადემიაში.



— **რას გვეტყვით აუდიტის დასკვნაზე, თქვენი ოპონენტები საუბრობენ, რომ დააფინანსეთ თანამშრომლების ოპერაციები, კურორტებზე დასვენება**

- საინფორმაციო საშუალებებით გავრცელებულმა დეზინფორმაციამ ერთგვარი კამპანიის სახე მიიღო ჩვენს წინააღმდეგ, ჩვენ ვიცით, სად იგეგმება ეს ყოველივე და მნიშვნელოვანია, რომ არც ერთი ადგილობრივი არ არის ამ კამპანიის უკან. გავიხსენებდი 2014 წლის წინასაარჩევნო პერიოდში გამოქვეყნებულ სტატიებს, რომლებიც ერთი ერთში ემთხვევა ბოლო დროინდელს. 2006 წლიდან გამგეობაში აუდიტორული შემოწმება არ ჩატარებულა. ჩვენი საქმიანობის ეფექტურობის გაუმჯობესების მიზნით, ჩვენ მივმართეთ სახელმწიფო აუდიტს 2014-2015 წლების შემოწმების მოთხოვნით. მიუხედავად იმისა, რომ ეს წლები თვითმმართველობების ჩამოყალიბებისა და გამგეობის რეორგანიზაციის პერიოდი იყო, დასკვნაში განსაკუთრებული შენიშვნები არ იკვეთება. უნდა ითქვას, რომ ბევრი საკითხი საკანონმდებლო დონეზეა გადასაწყვეტი, თუმცა მითითებული რეკომენდაციები და შენიშვნები ჩვენთვის გასათვალისწინებელია. თუ ვინმეს სხვა მოსაზრებები აქვს, შეუძლია მიმართოს სასამართლოს. ჩვენ დასამალი არაფერი გვაქვს, პირიქით, მოვაწყვეთ დასკვნის საჯარო განხილვა, სადაც მოვიწვიეთ საკრებულოს წევრები, დეპუტატები, არასამთავრობოებისა და საზოგადოების წარმომადგენლები. ეს დასკვნა საჯაროა, ნებისმიერს შეუძლია ნახოს შესაბამის საიტზე.

რაც შეეხება სოციალურ მიმართულებებს, 4000-მდე ადამიანს დავეხმარეთ. თუმცა სოციალური საკითხი კვლავ უმწვავესად დგას და რისთვის ვართ აქ ან რისთვის ვარ პირადად მე ამ სამსახურში, თუ მოსახლეობას არ დავეხმარებით თანადაფინანსების პროგრამით თუ სხვა სახით. რაც შეეხება თანამშრომლებს, მუნიციპალიტეტის სოციალური სამსახურის დებულება არ გვიკრძალავს მსგავსი დახმარების გაწევას, კურორტებზე დასვენებები და კოსმეტიკური ოპერაციები კი სიმართლეს არ შეესაბამება.

— **რას ფიქრობთ, რატომ გააქტიურდნენ ახლა თქვენი ოპონენტები?**

- დუშეთი სტრატეგიული მხარეა.

პოლიტიკურად აქტიურია, თუმცა მოსახლეობას არასდროს შეშლია სწორი არჩევანის გაკეთება და ის გუნდი, რომელიც აქ არის შეკრებილი, „ქართული ოცნების“ მომხრე და გულშემატკივარი ხალხი, მზად ვართ ყველანაირი გამოწვევისთვის. შეიძლება ერთი, ორი, ათი მოატყუო ყალბი ლაქლაქით და ინტრიგებით, მაგრამ ნათქვამია, ხალხი ბრძენიაო და სწორ არჩევანს აკეთებს ყოველთვის.

— **თქვენი საქმიანობის მთავარ მიღწევად მაინც რა მიგაჩნიათ?**

10 გვ. →

მაღალმთიანი დასახლების სტატუსი

მაღალმთიანი დასახლების სტატუსი მინიჭებული აქვს მუნიციპალიტეტის 240-მდე სოფელს და დაბებს - ჟინვალსა და ფასანაურს;

სულ მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები პირის სტატუსი მიენიჭა და შესაბამისი შეღავათებით სარგებლობს 7 000 მდე ადამიანი.

აღსანიშნავია, რომ კანონის ამოქმედების შემდეგ მუნიციპალიტეტში ჩაეწერა და დაბრუნდა 458 ადამიანი.

საერთაშორისო და რეგიონალური პროექტები

- „გამჭვირვალობა, ეთიკა, მოქალაქეთა ჩართულობა“
- ქ.დუშეთი მსოფლიო ისტორიული ქალაქების ასოციაციის წევრი.
- მსოფლიო ბანკი რეგიონული განვითარების მესამე პროექტი (RDP III)
- კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო- ერისთავების სახლ-მუზეუმის რესტავრაცია
- COMUS („თემის მიერ მართული ურბანული სტრატეგიები ისტორიულ ქალაქებში“)

ჯანსაღი და კომფორტული საცხოვრებელი გარემო

„მყარი ნარჩენების კომპანიისა“ და დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის თანამშრომლობით შეიქმნა თანამედროვე ტიპის ნაგავსაყრელი, რომელსაც ემსახურება საჭირო ტექნიკა. ჩამოყალიბდა „დუშეთის კეთიმოწყობის, დასუფთავებისა და გამწვანების გაერთიანება“, რომელიც მუდმივად ზრუნავს მუნიციპალიტეტის სისუფთავესა და კეთილმოწყობაზე.

მუნიციპალური ტრანსპორტი

ტრანსპორტირების არეალის გაფართოებისა და მოსახლეობის კეთილდღეობის გაუმჯობესების მიზნით, დაგეგმილია ყველა ადმინისტრაციული ერთეულიდან დუშეთში და პირიქით, მუნიციპალუყრი ტრანსპორტის დანიშვნა. ამ საკითხზე უკვე მიმდინარეობს აქტიური მუშაობა.

აღსანიშნავია, უფასო ტრანსპორტი, რომელიც მოსახლეობას კვირა დღეს ემსახურება, შემდეგი მიმართულებებით გუდანი-დუშეთი, გუდამაყარი-ფასანაური და ხორხი-დუშეთი. ამით, მოსახლეობას საშუალება ეძლევა, რომ თავიანთი პროდუქტი გასაყიდად გაიტანონ ბაზარზე.

ბექა ღარიბაშვილი

თეკლა ბექაური

დავით შაბურიშვილი

მადლობას ვუხდით
გამგებლის პირველ
მოადგილეს
ბექა ღარიბაშვილს,
საფინანსო სამსახურების
უფროსს დავით შაბურიშვილს
და დუშეთის მუნიციპალიტეტის
გამგეობის საინფორმაციო
განყოფილების მთავარ
სპეციალისტს
თეკლა ბექაურს მასალის
მომზადებაში
გაწეული დახმარებისათვის.

დუშეთი – საქართველოს კარიბჭე

← 9 გვ.

შევქმენით ქალაქის „მდგრადი განვითარების გეგმა“, „მიწათსარგებლობის გენერალური გეგმა“, ყოველივე ამან საშუალება მოგვცა ჩავრთულიყავით სხვადასხვა პროექტში.

2015 წელს დუშეთი მსოფლიო ისტორიული ქალაქების ასოციაციის წევრი გახდა. ქალაქში 96 შენობას მიენიჭა კულტურული ძეგლის სტატუსი. ეს არის სახლები, სადაც ქართული და ევროპული არქიტექტურაა შერწყმული. არა მხოლოდ შენობები, უბნებიც კი უნიკალურია აქ.

დუშეთი ჩართულია რეგიონული განვითარების მესამე პროექტში (RDP III), რომელიც საქართველოს მთავრობისა და მსოფლიო ბანკის მხარდაჭერით ხორციელდება, მუნიციპალური განვითარების ფონდის მიერ. პროექტის ფარგლებში დაგეგმილია დუშეთის ცენტრალური პარკისა და მიმდებარე ისტორიული ქუჩათა ქსელის რეაბილიტაცია. უახლოეს მომავალში დაიწყება პროექტის პირველ ეტაპზე განსახორციელებელი სარეაბილიტაციო სამუშაოები.

ასევე მინდა აღვნიშნო ევროკავშირისა და ევროსაბჭოს ერთობლივი პროექტი „თემის მიერ მართული ურბანული სტრატეგიები ისტორიულ ქალაქებში“, რომლის განხორციელებაში ჩართულია ადგილობრივი დაინტერესებული ჯგუფი პროექტის დაგეგმვის ფაზაში ევროპის საბჭოს მეთოლოგიით შემუშავდა ქალაქის განვითარების ადგილობრივი საბაზო გეგმა და პრიორიტეტული ქმედებები, რომლებზეც მუშაობა უნდა გაგრძელდეს შემდგომ ეტაპზე.

ჩართულნი ვართ, აგრეთვე ევროკავშირისა და ევროსაბჭოს კიდევ ერთ ერთობლივი პროექტში- „მერები, ლიდერები ცვლილებებისათვის“, რომლის მიზანია, ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებთან დიალოგით იმ მიდგომების შემუშავება, რაც აღმოსავლეთ პარტნიორობის ცალკეულ ქვეყნებში თვითმმართველობის შემდგომი განვითარებისთვისაა აუცილებელი და ხორციელდება აღმოსავლეთ ევროპის ექვს ქვეყანაში. თებერვალში, ირლანდიელ და გერმანელ კოლეგებთან ერთად მიწვეული ვიყავი სპიკერად უკრაინაში. წარვადგინე ორი პრეზენტაცია, ევროპის საბჭოს ექსპერტებთან ერთად, საკუთარი გამოცდილება უკრაინის სხვადასხვა რეგიონიდან პროექტში ჩართულ 30 მერს გავუზიარე.

რამდენიმე დღის წინ გახლდით სტრასბურგში, სადაც მნიშვნელოვანი გრანტის მიღებაზე მოვაწერეთ ხელი, კერძოდ მიმდინარე წელს, დუშეთის მუნიციპალიტეტმა წინადადებით „გახდი გადაწყვეტილების მიმღები პირი ადგილობრივი თვითმმართველობის პროცესში“ გაიმარჯვა ევროპის საბჭოს მიერ გამოცხადებულ საგრანტო კონკურსში „ადგილობრივი ინიციატივები ეთიკური და გამჭვირვალე მმართველობისათვის.'' ჩვენი მიზანია, პროექტში მონაწილეობით, დუშეთის მუნიციპალიტეტის საქმიანობის გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების გაზრდა თანამედროვე კომუნიკაციების გზითა და მოქალაქეთა ჩართულობის ამაღლებით.

ეს პროექტი ხელს შეგვიწყობს, რომ გამოვიყენოთ ახალ ეტაპზე გადასვლის შესაძლებლობა და ადგილობრივი დემოკრატიის ხარისხის გასაუმჯობესებლად კონკრეტული ღონისძიებები განვახორციელოთ.

* * *

მიუხედავად იმისა, რომ უქმე დღეა, გამგებელი სატელეფონო ზარებს თითქმის ყოველ 10 წუთში პასუხობს. ეხმიანება მოქალაქეებს, თანამშრომლებს აძლევს დავალებებს, რის გამოც ინტერვიუს რამდენიმეჯერ ვწყვეტთ.

დიახ, მთას განსაკუთრებული მზრუნველობა და მოვლა სჭირდება...

იცის ეს ბატონმა ვაჟამ.

მით უფრო, რომ თვითონაც აქაურია. დუშეთშია გაზრდილი, დიდი ვაჟა-ფშაველას სამშობლოში. ამიტომაც მეტი პასუხისმგებლობა აქვს ხალხის მიმართ, წარსულთან და მომავლის წინაშეც. ასეც უნდა იყოს, რადგან მთის გარეშე ბარი ვერ იარსებებს.

ირანდა კალანდაძე

დუშეთი-თბილისი
593 56 11 18

კობა არაბული:

ვაჟა ჩოხელი ქვეყნის ურთულეს ისტორიულ-გეოგრაფიულ სივრცეში დგას გამგებლად. ამ კუთხეებისთვის (ფშავ-ხევსურეთი, მთიულეთი, გუდამაყარი) და ზოგადად ქვეყნისთვის მეტად ურთულეს დროში!.

ის თავად ისტორიული კუთხის, გვარის და ჯიშის შთამომავალია: ძველ ხევისბერთა მემკვიდრე, რომლებიც მხოლოდ თემისა და ქვეყნის გადარჩენისთვის ზრუნავდნენ.

იგი ვერ იქნება ლგბტ ლიბერასტების ქომაგი, ვერ იქნება ვინმე ცხორაგაულების და (შალიკოების) ნაცმაცების ფავორიტი, ცხვრისტყავიანი მგლების მოსაწონი.

ის თავისი კუთხის და ხალხის ფავორიტი უნდა იყოს და არის კიდევაც...

მას შერჩა მთლიანად აყრილი და გაუბედურებული გუდამაყარი – ხეობას რომ გაჰყვები, არც ერთი სოფელი აღარ არის კიტოხიდან ბაკურხევამდე. ნასახლარებად არის იქაურობა ქცეული. ხევსურეთში გუდანიდან გირშელიმისკენ რომ გაჰყვები, შვიდი სოფლიდან ერთი კომლია დარჩენილი.

ასევეა მთიულეთში ხადს ჩამოყოლებით, ვარის (მთის წინეთის) ბევრ ზონაში — აყრილი და განდევნილია ხალხი, ქვეყანა ექსორიაქმნილია, თემურ-ლენგის დარბეული გეგონება.

ახლა მავანი დადის და უჩივის ჩოხელს, რომ სახლის შიფერი აქვს ჩატეხილი და არ გამოუცვალა.

რომ ფოტე ადიდდა და ჯებირი გაანგრია.

რომ გუდამაყარის წყალმა ხეობა და ხიდი გარიყა და ა. შ. ნაცები მდინარის ადიდებას, ჩოხელზე რომ არა ვთქვათ, ზოგჯერ ივანიშვილსაც მიაწერენ (ასეთი ზნეობრივი დალტონიზმი სჭირთ).

არ იციან ნაცებმა და ჩასაფრებულმა ნაცისტებმა და ლეიბორისტმა კლონებმა, რომ წყალი შეიძლება წელიწადში რამდენიმეჯერ ადიდდეს და მეწყერმა ჯებირი ან ხიდი წაიღოს?! ან გაიყინოს, ბოლოს და ბოლოს და გათბობის მილი გასკდეს სკოლაში.

ან სახლს ქარიშხალმა სახურავი ააძროს და წყალი ჩავიდეს, ან შიფერი სეტყვამ ჩაამტვრიოს.

ან ქარიშხალმა ხე ამოაძროს და მანქანის ძარაზე გადარგოს.

გამგებელი ხშირად და (ზოგჯერ) უძლურია ამ სივრცეში, ამ დემოგრაფიული და მატერიალური დეპრესიის დროს. სოფლის პროგრამა დაქუცმაცდა და შედეგი ნულოვანი დადგა.

მოსახლეობის ამ უმწეობის: დემოგრაფიული კრიზისის, მიგრაციის, სტიქიური და ნაცისტური ვანდალიზმის აღმოფხვრა ერთ, თუნდაც 5 წელში შეუძლებელია.

როდესაც გზა დასჭირდა ხევსურეთში სამეურნეო იალაღზე მისაყვანი, ჩოხელმა მოუგვარა პრობლემა.

გზა დასჭირდა დაბრუნების მსურველს, ოჯახს დათვისის ხეობაში, ჩოხელმა გაუგზავნა ტრაქტორი.

სახლი დაუზიანდა კოშკაყელენელ გაჭირვებულ მეურნეს — ჩოხელი დაეხმარა.

სამკურნალო ლიმიტი დასჭირდა, ხევსურეთის მკვიდრ ხუცესს, ჩოხელი დაეხმარა; ავტობუსი დასჭირდა ბარისახოს, ჩოხელმა და ტრიპოლსკიმ გაუკეთეს.

ოღონდ დაბრუნდით მთიულეთში, ფშავ-ხევსურეთში, გვეუბნება ჩოხელი და დაგეხმარებითო.

პირადად მე მთხოვა, დაბრუნდი და ყველაფერს გავაკეთებ შენი საარსებო გარემოს მოწყობისთვისო: (მე ვბრუნდები). მაგრამ რა ჰქნას ერთმა ჩოხელმა ისეთი, რომ ეს მხარე გააცოცხლოს, გადაარჩინოს, აღადგინოს.

სამწუხაროდ, არ არის საკმარისი ჩოხელის ძალისხმევა. რაიონის ფონდი და სახსრები არ ყოფნის აუცილებლად გასაკეთებელ საქმეებს.

ხოლო საკუთარი ფონდი და მილიონები ჩოხელს არა აქვს, რომ ყველას დაეხმაროს, ყველას ყველაფერი გაუკეთოს.

სამწუხაროდ, ვისაც „მთის ფონდი აქვს“ ზურგზე ხურჯინივით აკიდებული და ვისაც „ფონდის მართვის ეროვნული საბჭო“ ჰქვია, ის არ იღებს ამ ხურჯინიდან ჩაჩურთულ მილიონებს — მიზნობრივად, ეფექტურად და საზრისიანად, როგორც სოფლის პროგრამა დაქუცმაცდა, ამასაც აქუცმაცებს ისევე.

ჩვენი ათასნაირი თხოვნის, ძალისხმევის და მიმართვის, ჩვენი არაერთი პროექტის და პროგრამის წარდგენის მიუხეადავად, ამ ფონდს კაპიკი ვერ გავაგდებინეთ, დეპრესირებული, დანგრეული მთის რეგიონის და, კერძოდ, ფშავ-ხევსურეთის და მთიულეთ-გუდამაყრის გადასარჩენად.

ძირფესვიანად უნდა შეიცვალოს მთის ფონდის პროგრამის განკარგვის წესი და მისი მართვის „ეროვნული საბჭო“ დაიშალოს.

ფონდი ხალხმა და აკადემიამ მოიპოვა. ზედ მინისტრების „ეროვნული საბჭო“ დააჯდა დედალი კვატივით, იხვივით თუ მამალი ყარყატივით.

რომელი ეროვნული საბჭოა ეს საბჭო. განა არა აქვთ სხვა ფონდები და მილიონობით სახელმწიფო სახსრები? იმას მიხედონ და განკარგონ. ის იკმარონ, ამ ფონდის განკარგვის საშუალება კი მისცენ თემის კაცებს და აკადემიის სწავლულთ, საბჭოს, გნებავთ, კომისიას.

პრობლემა ჩოხელში არ არის, ის ყოველთვის გახსნილია ხალხისთვის, მეცნიერებისთვის, მწერლებისთვის.

ხელისუფლებამ უნდა იზრუნოს ადამიანებზე, თემებზე და ყველამ აკეთოს თუნდაც იმის ნახევარი, რასაც ჩოხელი, სახელოვანი ჯიშის ეს შთამომავალი, აკეთებს დუშეთში.

კობა არაბული,

მწერალი, მწერალთა ეროვნული აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი, მთიანეთის პრობლემათა კომისიის წევრი

ჩვენი მინისტრები სულ უცხოეთში რომ არიან, საზღვარგარეთ მუშაობენ და საქართველოში მივლინებით ჩამოდიან?!

გვესაუბრება პოლიტოლოგი სოსო ცინცაძე

— ბატონო სოსო, რუსეთმა აფხაზეთში დიდძალი ტექნიკა შეიტანა, რაც სრულად ფარავს მთელს საქართველოს. მეორე მხრივ, რუსები ოსეთში რეფერენდუმის ჩატარებას აპირებენ და ცხინვალის სამხედრო კონტინგენტი რუსულ ჯარს უნდა შეუერთდეს. ეს ჩვენი ქვეყნისთვის რამდენად სახიფათოა?

— ეს, ელემენტარულად, „ნაციონალების“ შეგნებული რუსოფობიაა, მეტი არაფერი. აღნიშნული იარაღი მარტო საქართველოს კი არ ფარავს, მთავარი ისაა, რომ იგი ფარავს რუსეთის დასავლეთ საზღვრებს და ახლო აღმოსავლეთსაც. რუსეთს, ყველა გათვლით, დღეს, საქართველოსთან ომი არაფერში სჭირდება. პრაგმატული მიზეზი ხომ უნდა არსებობდეს. როდესაც 2008 წელს რუსეთმა საქართველოსთან ომი დაიწყო, შემოიჭრა, დაუფარავი აგრესია გამოავლინა, რუსეთის გადასახედიდან, რასაკვირველია, მას ამის მიზეზი ჰქონდა — რეალური პერსპექტივა შეიქმნა საქართველოს ნატოში თუ არ მიიღებდნენ, მაპი მაინც მიეცათ, რაზეც მედვედევმა გულახდილად ილაპარაკა. მან ომის ინიციატივა საკუთარ თავზე აიღო და თქვა: ამით ნატოს ზრდა, კავკასიაში მისი შემოსვლა შევაჩერეო. ახლა, რუსეთისთვის, ეს საფრთხე აღარ დგას. დღეს, კრემლში ასეთი ფანატიკოსი პოლიტიკოსები აღარ სხედან. იქ, პრაგმატიკოსები არიან, რომელთაც თავიანთი მიზნები, ამოცანები აქვთ. საქართველოს ნატოში მიღება, დღეს, უკვე, გაცილებით შორეული პერსპექტივაა, ვიდრე ათი წლის წინ იყო, მითუმეტეს, ევროკავშირში. ვინმეს ჰგონია, რომ ვიზა-ლიბერალიზაციის გამო რუსეთი ომს დაიწყებს? — ეს ზღაპარია. ვიზა-ლიბერალიზაცია, ბევრად უკეთესი პირობებით, ჩვენზე ადრე მოლდოვამ მიიღო. სხვათა შორის, როცა მოლდოვამ ვიზა-ლიბერალიზაცია მიიღო, მაშინ შეკავების, შეჩერების ინსტრუქციები არ მოქმედებდა და მასთან დაკავშირებით არც დღეს მოქმედებს. მაგრამ ხომ ხედავთ, მოლდოვა რუსეთისკენ შემობრუნდა. დღეს, მოსკოვი ყველაფერს რეალურად აფასებს. ვიზა-ლიბერალიზაცია არ არის იმის გარანტი, რომ ქვეყანას უახლოეს მომავალში ნატოში მიიღებენ. ჯერჯერობით, მოსკოვი იმით კმაყოფილდება რაც აფხაზეთში, სამაჩაბლოში ხდება — რეფერენდუმი, საზღვრების გადმოწევა, იარაღის შეტანა აფხაზეთში, ე.წ. სამხრეთოსეთის არმიის მიერთება რუსეთის არმიასთან და ა.შ. რუსეთს სხვა, ძალზედ მნიშვნელოვანი პრობლემები აქვს. ჯერ ერთი, რაც მთავარია, მან ურთიერთობა უნდა გაარკვიოს ამერიკის ახალ ადმინისტრაციასთან. ტილერსონი თურქეთშია, მერე, ალბათ, რუსეთში ჩავა. ეს ოფიციალურ დონეზე პირველი კონტაქტი იქნება. თავად ნატოშიც სერიოზული წინააღმდეგობებია. თითქოს, გერმანიის მთავრობა ბიუჯეტში თავისი შენატანის 2%-მდე გაზრდას დასთანხმდა. ტრამპი უფრო შორს წავიდა და მერკელის ამერიკაში ვიზიტის დროს, რაც, პრაქტიკულად, უშედეგოდ დამთავრდა, გერმანიას ძველი ვალებიც მოსთხოვა. ტრამპმა პირდაპირ მერკელის თანდასწრებით განაცხადა, რომ გერმანიას ამერიკისთვის ათეულობით მილიარდი დოლარი მართებს. ეს უკვე პროვოკაციაა. როცა ადამიანს ვინმესთან წაჩხუბება, ურთიერთობის გაფუჭება უნდა, არარეალურ მოთხოვნებს აყენებს. ახლახან, გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრმა განაცხადა: ამ 2%-საც არ გადავიხდითო, ვინაიდან არსებობს კიდევ ერთი გადასახადი — ეკონომიკური განვითარებისა და თანამშრომლობის ფონდი, რომელიც აზიის, აფრიკის ჩამორჩენილ ქვეყნებში საერთაშორისო დახმარებებს გულისხმობს. ამ ფონდში გერმანია სამჯერ-ოთხჯერ მეტს იხდის, ვიდრე ამერიკა. ამიტომ, ბერლინის პოზიცია ასეთია: კი, ნატოში ამერიკა ჩვენზე მეტს იხდის, მაგრამ ჩვენ ეკონომიკური განვითარებისა და თანამშრომლობის ფონდში ოთხჯერ მეტს ვიხდით, ვიდრე ამერიკაო. ამიტომ, ბარიბარში ვართო. მაგრამ ტრამპს თავისი კანონები აქვს. ასეთ ვითარებაში, მოსკოვისთვის, დღეს, საქართველო პრიორიტეტი არ არის. პრიორიტეტი 2007-2008 წლებში იყო. ეს ის პერიოდია, როცა ბუში თბილისში ჩამოვიდა. იგი მთელს ამიერკავკასიაში არსად ყოფილა, მხოლოდ თბილისში ჩამოვიდა. როცა მან სააკაშვილს დემოკრატიის შუქურა უწოდა, ამას აზერბაიჯანის გაღიზიანებაც მოჰყვა. მეორე დღეს ალიევმა ოფიციალურად განაცხადა: რეგიონში ლიდერობას არავის დავუთმობთო. რა თქმა უნდა, საქართველოს გულისხმობდა. ეს პერიოდი წავიდა. მაშინ საქართველო მართლა იყო რუსეთისთვის თავის ტკივილი, დღეს — აღარ. ამიტომ, ის რომ თითქოს, რუსეთი საქართველოზე თავდასხმას აპირებს, არარეალურია. ასე რომ მოხდეს კრემლში ყველა უნდა გაგიჟდეს, რა მოცემულობასაც ვერ ვხედავ.

კრემლში ვხედავ სხვადასხვა გადახრილ ადამიანებს, კორუფციის ზეიმს, ანტიდასავლურობას, მილიტარიზაციას, იზრდება რუსეთის სამხედრო ხარჯები, შეიარაღება, მაგრამ ასევე, იზრდება ამერიკის შეიარაღება და სამხედრო ხარჯები. არ მინდა პოლიტ. კორექტულობა დავარღვიო, მაგრამ ნუ ვიღებთ ჩვენს თავზე იმაზე მეტს, რასაც სინამდვილეში წარმოვადგენთ. რუსეთი კარგად ხედავს საქართველოში რაც ხდება და ამით კმაყოფილია.

— თქვენ ახსენეთ, რუსეთს სულ სხვა პრობლემები აქვსო. ამერიკასთან მისი ურთიერთობების გარკვევა, როგორ აისახება საქართველოზე?

— თამარ, მოდით, რეალისტები ვიყოთ. კი, ნატოს შავი ზღვა აინტერესებს, მაგრამ მეორე მხრივ, შავ ზღვაზე უკრაინის გავლენა და სამხედრო ძალა მილიონჯერ მეტია, ვიდრე საქართველოსი. მითუმეტეს, დღეს, რუსეთი მთელ რიგ არჩევნებს ელოდება, პირველ რიგში, თვეზე ნაკლები რჩება საფრანგეთის არჩევნებამდე. ხომ საინტერესოა, როგორ დამთავრდება საფრანგეთის არჩევნები? შემდეგ, არჩევნებია იტალიაში, მერე, გერმანიაში. თუ რით დამთავრდება ეს ყველაფერი, აი, რა არის კრემლისთვის მთავარი პრიორიტეტი. თქვენ მეკითხებით რაზე შეთანხმდებიან ამერიკა და რუსეთი საქართველოსთან მიმართებაშიო. რა, ტრამპი, დღეს, ჩვენი მეგობარია? მან როდესმე, სადმე თქვა, რომ საქართველო, აუცილებლად, ნატოში შევაო, არა, ხომ? ის რომ ამერიკა ტერიტორიულ მთლიანობას მხარს უჭერს, იგი, სხვანაირად ვერც იმოქმედებს. ვინც არ უნდა გახდეს ამერიკის პრეზიდენტი, ღიად, სეპარატიზმს მხარს ვერავინ დაუჭერს, ეს გამორიცხულია. ხვალ, ამერიკის პრეზიდენტი ჟირინოვსკი რომ გახდეს, ისიც ტერიტორიულ მთლიანობაზე ალაპარაკდება.

— ბატონო სოსო, თქვენი თქმით დღეს საქართველო რუსეთისთვის პრიორიტეტი არ არის. რისთვის ემზადება რუსეთი, რით არის განპირობებული აფხაზეთში დიდძალი ტექნიკის შეყვანა, რა საფრთხეებს ხედავს?

— განპირობებულია იმით, რომ ნატო შავ ზღვაში აქტიურდება, ყოველ შემთხვევაში, გეგმები ასეთია. აგერ, პოლონეთში ამერიკის ჯარი შემოდის, ძლიერდება სამხედრო ტექნიკა, ტანკები. იგივე ხდება ბალტიისპირეთშიც. ნატო, ბოლო ხანებში, გააქტიურდა, რუსეთის გააქტიურებაც ამის პასუხია. ორი დღის წინ ამერიკის თავდაცვის მინისტრმა განაცხადა, რომ ამერიკაში ეჭვის თვალით უყურებენ რუსეთის კავშირს ავღანეთში თალიბებთან. იქ, წინააღმდეგობის კიდევ ერთი მომენტი ჩნდება. მინისტრმა ისიც თქვა, რომ შესაძლოა ამერიკამ ავღანეთში ჯარის ოდენობა გაზარდოს. ობამას ჯარი გაყავდა, მაგრამ ახლა, შეიძლება პირიქით, შეყვანა დაიწყონ. ასე, რომ დღეს რუსეთ-ამერიკის პირისპირ დგომა სულ სხვა პერიმეტრებზეა მოსალოდნელი. თუნდაც, ავიღოთ არქტიკა. არხანგელსკში გამართულ კონფერენციაზე, სადაც არის ფინეთი, ისლანდია, ამერიკელები არ ჩავიდნენ. აქ, რუსეთს არქტიკის მილიტარიზაციას პირდაპირ საყვედურობენ. პუტინმა პირდაპირ განაცხადა: თქვენ, ვინ გეკითხებათ, ეს ჩვენი ტერიტორიაა და რასც გვინდა იმას ვიზამთო. დაპირისპირებები ბევრგანაა, განსაკუთრებით, აღმოსავლეთ ევროპაში. პირველ რიგში, რუსეთს აღმოსავლეთ ევროპა აწუხებს. როგორც აღვნიშნე ტილერსონი თურქეთში იყო, ვნახოთ, ერდოღანთან რაიმე შეთანხმებას თუ მიაღწევს. ესეც, რუსეთ-ამერიკის ურთიერთობაში, თავის როლს შეასრულებს. გარდა ამისა, ჯერ კიდევ არაფერი გადაწყვეტილა სირიასთან, ერაყთან დაკავშირებით, ორივეგან ომია. ერაყი საერთოდ დაინგრა. სირიას და ერაყს ვინ ააშენებს? ამ დანგრეული ქვეყნის ასაშენებლად, შესაძლოა, რამდენიმე ტრილიონი დოლარი იყოს საჭირო. გარდა ამისა, იქ, შიდა სამოქალაქო ომის ექსცესები არასოდეს დამთავრდება. ასე, რომ სულ სხვა, გლობალური საკითხები დგას და არ მგონია დღეს გლობალურ პირისპირ დგომაში საქართველო ვინმეს აინტერესებდეს. ჩვენს თავზე, მნიშვნელობაზე დიდი წარმოდგენა გვაქვს. ნუ გვგონია, რომ მსოფლიოს დიდ პოლიტიკაში საქართველოზე ფიქრით, გეგმების დაწყობით ვინმე თავს იწუხებს. ჩვენს თავს თავად უნდა მივხედოთ. დღეს, მთელი ჩვენი პოლიტიკის მთავარი მომენტი საშინაო პოლიტიკა, ხალხის ცხოვრების დონის გაუმჯობესება უნდა იყოს. ყურადღების გარე საფრთხეებზე გადატანა, ან მისი ხელოვნურად შექმნა, ეს ძველი მეთოდია. მთავარი ჩვენთვის ის არის, რომ 30 წელია დამოუკიდებლები ვართ და ნორმალური ცხოვრების პერსპექტივა ჰორიზონტზეც კი არ ჩანს. ხანდახან, ეკონომიკის მიღწევებზე მთავრობის წარმომადგენლებს რომ ვუსმენ, მგონია, სხვა ქვეყანაზეა საუბარი. ციფრები შთამბეჭდავია, უმუშევრობა შემცირდაო,

12 გვ.

ჩვენი მინისტრები სულ უცხოეთში რომ არიან, საზღვარგარეთ მუშაობენ და საქართველოში მივლინებით ჩამოდიან?!

7 გვ.

მაგრამ სამსახურში მივდივარ და კოლეგები დღიდან დღემდე უარეს დღეში არიან.

გაზაფხული საქართველოში მშიერი თვეებია. დილით სამსახურში რომ მივდივარ ნახევარი თბილისი ნაგვის ყუთებში იქექება, ჩვენთან საკითხი ასე დგას — რამდენი ადამიანი დააღწევს თავს კატასტროფულ შიმშილს. მხოლოდ ჯანდაცვის მინისტრი წუხს, რომ არსებულ პრობლემებს ბიუჯეტის ფული არ ყოფნის. ეკონომიკის მინისტრს რომ ჰკითხოთ, უცებ, ეკონომიკური ცხოვრების გაუმჯობესების იმხელა ციფრობრივ მაჩვენებლებს გეტყვით, გეგონებათ შვეიცარიის მინისტრი გელაპარაკებათ.

ერთხელ დავინტერესდი და კონფიდენციალურად გავიკითხე, გამოირკვა: არ არსებობს სამინისტრო, რომელსაც ნებისმიერ დღეს მინიმუმ ათი თანამშრომელი უცხოეთში არ ჰყავდეს მივლინებული. გეკითხებით, ამდენი სიარულით რა ჩამოაქვთ იქედან, რატომ არ გვეტყობა არაფერი? ქვეყანაში, უცებ, რაღაც მნიშვნელოვანი ხდება, მინისტრი კი ვერ ესწრება იმიტომ, რომ უცხოეთშია მივლინებით, მოადგილეც ვერ ესწრება შეხვედრას, ისიც უცხოეთშია. გამოდის, ჩვენი მინისტრები საზღვარგარეთ მუშაობენ, თბილისში კი მივლინებით ჩამოდიან. არ ვიცი, ამდენი სასიარულო რა აქვთ. აქ, დაჯდნენ და ქვეყანას მიხედონ.

— ასეთმა ყოფამ პროლეტარები შვა?

— პროლეტარიატი მაინც მშრომელი კლასი იყო. მთავრობამ, ახლა, რაღაც გაუგებრობა შვა. ერთ რამეს ვხედავ — დროდადრო ჩვენი ხალხის ბრბოდ ქცევა ძალიან ადვილი ხდება. ყველაზე ცუდი ისაა, რომ ხალხი ბრბოდ იოლად იქცევა. ამისგან დაზღვეული არავინაა. თუკი ჰიტლერმა შეძლო 30-იან წლებში გერმანელები ბრბოდ ექცია, ქართველებს რა უნდა მოვთხოვოთ, ჩვენ ხომ კლასიკური აღმოსავლური მენტალობის ხალხი ვართ.

— ბატონო სოსო, ნატოს თემას დავუბრუნდეთ. მართალია ეს შორეული პერსპექტივაა, მაგრამ ხელისუფლება შეეგუა დაკარგულ ტერიტორიებს და ერთი სული აქვს ნატოში როდის შევარდება თუ რა ხდება?

— ნატოში, ჩვენ, კიდევ დიდხანს არავინ მიგვიღებს, ეს გამორიცხულია. ზურა აბაშიძეც კი ამბობს: ხვალ და ზეგ ნატოში არავინ გველოდებაო და მაზეგ რას ნიშნავს, უკვე აღარ ვიცი, 20-30 წლის მერე მიგვიღებენ? ნატოში შესვლა აუცილებელი არ არის. ჩვენ თუ ევროპა, ევროპული ფასეულობები, ღირებულებები გვინდა, ეს შეიძლება ევროკავშირის, ნატოს გარეშეც დავაფუძნოთ. მაგრამ განა შეიძლება ევროპული ფასეულობების, ღირებულებების ქვეყანას განათლების მინისტრად და ვიცე-პრემიერად ჯეჯელავა ჰყავდეს?! ან ასეთი პარლამენტი და პარლამენტარები? წარმოგიდგენიათ, 150 პარლამენტარიდან 123 საერთოდ, ერთხელაც არ მისულა მიკროფონთან და ერთი წინადადებაც არ უთქვამს, ტყუილად ზის და ხელფასს ღებულობს. ეს ევროპაა? ჩვენ რა, ევროპული სახლის მშენებლობას სახურავიდან ვიწყებთ? საძირკველი, კედლები, ფანჯრები, კარებები არ გვაქვს და მარტო სახურავს ვაკეთებთ? ამ სახურავს ჰაერი დაიჭერს?

— პრობლემაა ისიც, რომ ქვეყნის უსაფრთხოების კონცეფციაც ნათლად არ გვაქვს გამოხატული: ყველგან ვართ და ამ დროს არსად, არც მწვადს ვწვავთ და არც შამფურს.

— სად გვაქვს კონცეფცია? საგარეო პოლიტიკური კონცეფცია გვაქვს? საგარეო საქმეთა სამინისტრო გვაქვს? — იგი, სახელმწიფო კანცელარიის პატარა უწყებად იქცა. საგარეო საქმეთა მინისტრი გვყავს თუ არ ჩავთვლით, რომ უცხოეთში სეირნობს და მივლინებებით, დროდადრო, თბილისში ჩამოდის? ავიღოთ, რა ხდება სოფლის მეურნეობაში: თავიდან გლეხს მიწას უფასოდ უხნავდნენ, მერე თქვეს ამან შედეგი არ გამოიღოო. ელემენტარულად, იმას ვერ მივაღწიეთ, რომ ნორმალური შხამქიმიკატი შემოიტანონ. გლეხები ამბობენ: კომუნისტების დროს 2-3-ჯერ თუ ვწამლავდით ვენახს, ახლა, 10-12-ჯერ ვწამლავთო. წამალი არ მოქმედებს. გლეხს თითო მოწამვლა 200 ლარი უჯდება. ტენდერის წინა დღეს დაარსებული ფირმები იგებენ ტენდერს. კიდევ ამბობენ კორუფცია და ნეპოტიზმი არ არისო.

— ბატონო სოსო, ბოლოსკენ ისევ რუსეთის თემას დავუბრუნდეთ. რუსეთი შეიძლება შეეგუა ევროკავშირთან ჩვენს დაახლოებას, არც ვიზა-ლიბერალიზაციაა მისთვის თავის ტკივილი, მაგრამ ნატოს გაფართოების საკითხი მიუღებელ თემად რჩება. ზოგადად, რუსეთს არ უნდა დაველაპარაკოთ, როდემდე უნდა ვიყოთ გაბუტული?

— რასაკვირველია, კი. ნებისმიერ შემთხვევაში რუსეთთან კონტაქტი აუცილებელია. დალაპარაკება იმას არ ნიშნავს, ჩახვიდე და უთხრა: კი ბატონო, აფხაზეთი, ოსეთი, ნატო აღარ მინდაო. მაგრამ ჩვენ ისიც არ ვიცი, რა უნდა ჩვენგან რუსეთს. კი, რუსეთის ჩვენდამი მიდგომა ქაოტური და უსისტემოა. თვითონ რუსეთშიც ვერ გადაუწყვეტიათ, რა უნდათ საქართველოსგან. ჩვენ რაც უფრო დიდხანს ვიქნებით გაბუტული, იქედან უფრო მეტად იქნება გაურკვევლობა, რასაც შეიძლება ისეთი სულელური აგრესია მოჰყვეს, რაც 2008 წელს მოხდა. შეიძლება 150 მილიონიან მეზობელს გაებუტო? ვისი ან რისი იმედით?

— მართლაც ვისი იმედი გვაქვს? — გავიძახით არ გვინდა რუსეთთან დალაპარაკებაო და საჩიველელად ამერიკის ადმინისტრაციასთან, ევროკავშირთან გავრბივართ, რომლებიც შფოთდებიან და ამით მთავრდება ყველაფერი, ამასობაში რუსეთი აქეთ მოიწევს.

— დღეს, ხომ ვხედავთ, როგორი სიტუაციაა, ჩვენთვის არავის სცხელა, ყველას თავიანთი საკკივარი აქვს. საქართველოსნაირი ქვეყნებისთვის ახლა ძალიან საზიფათო, ტურბოლენტური დროა — გარკვეული არაფერია, ყველაფერი დუღს, იზრდება კონფრონტაცია, იზრდება გამალებული შეიარაღებები საზღვრებთან, ჯარების შეგროვება, იარაღების გადატანა-გადმოტანა. ამ დროს ჩვენ სტრატეგიული მოკავშირის გარეშე ვართ. ჩვენ, უბრალოდ, გვიხარია თუ რომელიღაც პოლიტიკოსი მხოლოდ სიტყვიერად, რიტორიკულ დონეზე გვიჭერს მხარს. აი, ამით ვართ კმაყოფილი.

თამარ შველიძე
555 23 28 24

რუსთაველი სპორტსმენების წარმატებები

რუსთაველი მოზარდები სპორტში აქტიურად არიან ჩართულები. უმრავლესობა სხვადასხვა სახეობებში დიდ ნიჭს და სპორტისადმი სიყვარულს ავლენს, ამაში ადვილად დაგვარწმუნებს მათი შედეგები. თითოეული რომ სპორტს დიდი შრომისმოყვარეობით ეკიდება ამას მათი საქალაქთაშორისო და საერთაშორისო შედეგები მოწმობს. რუსთაველებს არაერთხელ უსახელებიათ საკუთარი ქალაქი და ქვეყანა.

როგორც ააიპ რუსთავის სასპორტო სკოლების განვითარების ცენტრში აცხადებენ გასულ წელთან შედარებით 2017 წელი გაცილებით ნაყოფიერი იქნება. ამას უკვე მოწმობს მიმდინარე წელს უკვე მოპოვებული შედეგები. ცენტრისთვის მთავარი მიზანი სისტემატიურ სპორტულ-გამაჯანსაღებელ მოძრაობაში ბავშვთა და მოზარდთა მაქსიმალური რაოდენობის ჩართვაა, ასევე ნიჭიერი სპორტსმენების აღზრდა-გამოვლენა, მათი საერთაშორისო ასპარეზზე გაყვანა, სპორტული ბაზების მოწესრიგება და თანამედროვე სტანდარტების ინვენტარით აღჭურვა.

დღესდღეობით სასპორტო სკოლების განვითარების ცენტრში 1200-მდე სპორტსმენ-მოსწავლე ირიცხება, მათ შორის მოსწავლეები რომლებიც არიან სოციალურად დაუცველი ან მრავალშვილიანი ოჯახიდან, ასევე ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანის შვილები, ან მოსწავლეები რომლებიც სხვადასხვა დღის ცენტრებში ირიცხებიან გადასახადისგან თავისუფლდებიან.

რაც შეეება წელს მიღწეულს წარმატებებს, არ შეიძლება არ აღინიშნოს რუმინეთის ქალაქ ბრაილაში ევროპის 22-წლამდე მოკრივეთა ჩემპიონატზე ლაშა გურულის ვერცხლის მედალი. მან 64 კილოში იბრძოლა და 4 შეხვედრა დამაჯერებლად მოიგო. ასპარეზობას გურულმა რუსი, ნორვეგიელი, რუმინელი და ესპანელი მოკრივეები ჩამოაშორა. ფინალში კი ინგლისელ ლუკ მაკკორმიკის დაუპირისპირდა, რუსთაველმა მოკრივემ თავდაუზოგავად იბრძოლა, თუმცა ოქროს მედლის დათმობა მოუწია და ვერცხლს დასჯერდა.

ბრინჯაოს მედალი მოიპოვა 26 წლის ვასილ იმერლიშვილმა ბერძნულ რომაულ სტილით ჭიდაობაში უნგრეთში გამართულ ჩატარებულ იმრე პოიაკის მემორიალზე. მან 130 კილო წონით კატეგორიაში იასპარეზა.

საქართველოს პირველობაზე სასახელო შედეგი დადეს მოფარიკაველებმა. ოქროს მედლებს 1999 წელს დაბადებულებს შორის მარიამ სუხშვილი, 2000 წლიანებს შორის კი თემურ ჟუჟუნაშვილი დაეუფლა.

წარმატებულები არიან რუსთაველები ტაეკვანდოშიც. თბილისში გამართულ ღია ჩემპიონატზე ოქროს მედლებს ციური აბულაძე, ნიკოლოზ სირაძე, დავით ზურაბაშვილი, გურამ სხილაძე და ხატია გაროზაშვილი დაეუფლნენ.

გორში გამართულ საქართველოს ჩემპიონატზე კი რუსთაველმა ლუკა კუბლაშვილმა 2001 წელს დაბადებულ სპორტსმენებს შორის პირველი ადგილი დაიკავა.

კუნგ-ფუ ფაიტინგში. თბილისში გამართულ ევრაზიის პირველობაზე რუსთაველმა უშუისტებმა 7 საპრიზო ადგილი დაიკავეს. ოქროს მედლებს გიორგი ლობჟანიძე, გიორგი მაისურაძე, მაკა ნოზაძე და ქეთევან ნიორაძე დაეუფლნენ. თითოეულმა სამ-სამი შეხვედრა ჩაატარა. ჩემპიონატზე საქართველოს, სომხეთის, აზერბაიჯანის, უზბეკეთის და რუსეთის 150-მდე საუკეთესო სპორტსმენი ასპარეობდა.

* * *

4 დამაჯერებელი ასპარეზობა ფინალამდე. ბექა გურულმა საქართველოს ჩემპიონატზე 5 ბრძოლა ჩაატარა, აქედან ოთხი თავდაჯერებულად მოიგო, გადამწყვეტ ბრძოლაში ბილისის სახელით მოასპარეზე გიორგი პერტაიას დაუპირისპირდა, რომელთანაც დაძაბულ ბრძოლაში ქულების მეტობით 6:3 მოუგო და საქართველოს ჩემპიონი გახდა.

* * *

მაისის დასაწყისში საქართველოს მასშტაბით სპორტული ფესტივალი დაიწყება. აქტივობას სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს დაქვემდებარებაში არსებული ბავშვთა და ახლგაზრდობის ეროვნული ცენტი ხელმძღვანელობს, რუსთავში კი ორგანიზებას სასპორტო სკოლების განვითარების ცენტრი გაუწევს.საბავშვო ქუჩის კალათბურთი, ქუჩის ფეხბურთი, სპრინტი 60 მეტრზე და ჭადრაკი, ეს სპორტის ის სახეობებია, რომელშიც მონაწილეობის მიღება სპორტის მოყვარულ ნებისმიერ 14-დან 16 წლამდე მსურველს შეეძლება. სასპორტო სკოლების განვითარების ცენტრმა უკვე განსაზღვრა შეჯიბრის გასამართი ლოკაციები, ფესტივალი სტარტს მაისის თვიდან აიღებს.

რუსთავის სასპორტო სკოლების განვითარების ცენტი ორგანიზებას უწევს სასკოლო სპორტულ ოლიმპიადასაც. ოლიმპიადის ფარგლებში შეჯიბრებები უკვე გაიმართა ფეხბურთში, კალათბურთში, ფრენბურთში, ხელბურთში, გეზრბენში, მაგიდის ჩოგბურთში და მხიარულ სტარტებში.

9 აპრილი – გულს აღბეჭდილი სურათები

ოცდარვა წელი გასულა იმ საზარო, ეროვნული უბედურებიდან.

1989 წლის 8 აპრილია, შემწვანებულა თბილისი, ირგვლივეთი დედაქალაქისა.

მტერს რომ მკვდარი ეგონა საქართველო, თურმე ცოცხალი ყოფილა. ამაღლებული, კომუნისტური ლაფიან სინამდვილიდან ამოსულ–ამომშვენიერებული, ერთ მუშტად შეკრული, სანთლით ხელში იმპერიული ხელისუფლების შენობასთან ამაყად დგას და თავისუფლებას, დამოუკიდებლობას ითხოვს, ღმერთს ევედრება... მთელი იმერ–ამერი აქაა. თითოეულ ქართველში ფარნავაზის, ქუჯის, გორგასლის, აღმაშენებლის... გული ძგერს. ძალუმად ახლა... ზეციური საქართველოც აქაა... „ფარნავაზიც აქ არის და გორგასალიც აქ არის“. ქაქუცა ჩოლოყაშვილის სურათიც სამზეოზეა, ილიაც გვიღიმის...

„რა ლამაზი ყოფილა ჩვენი საქართველო, მადლი და სიყვარული იღვრება ხალხის გულებიდან, თვალებიდან“, მეუბნება როდამ ჯანდიერი.

ობოლაძის ქუჩაზე, მიტინგიდან მომავალი ოთარ ჭილაძე თონესთან შეჩერდა, მე და ჯიმშერ გაბეხაძე, ჩემი მამიდაშვილი წამიერად შევჩერდით. მივესალმეთ ერთმანეთს. ბატონმა ოთარმა მხრები უცნაურად აამოძრავა, აიჩეჩა, – ამ ამბებს, რაღაც საშინელებები არ მოჰყვეს, მეშინია, ეს ყველაფერი კარგად არ დამთავრდება, ეს იმპერია ისედაც ხეზე შერჩენილი დაჭიანებული ვაშლივითაა, დღე–დღეზე ისედაც ძირს ჩამოვარდება, მეშინია ცუდი რამ არ მოხდეს...

გულში ბატონი ოთარის სტრიქონები ახმიანდა უნებურად, „მე მეშინია იმ ერთი წამის, იმ ერთი წვეთი თაფლის თუ შხამის“... დავემშვიდობეთ ბატონ ოთარს.

კობა არაბული დათო მაღრაძეს ემუსაიფება, კობამ დათო გამაცნო, ახალგაზრდა პოეტი, მაღალი, წარმოსადეგი. მზია გელაშვილს და გიორგი ბაქანიძეს წარწერიანი ტრანსპარანტი მოაქვთ, „მთარგმნელობითი კოლეგია შენთანაა საქართველო“. ზეზვა მედულაშვილი, ლევან ბრეგაძე, ნათელა გავაშელი, ლალი ბრეგვაძე... მოდიან, მოდიან, მოდიან. საქენერგოც მოდის ელიზბარ კაჭარავასთან ერთად.

ავთანდილ არაბული, ოტია კახაძე, ვაჟა შენგელია, მურმან სუხიშვილი ილიასა და აკაკის ძეგლთან საუბრობენ.

ცისანა მიქაძე, ავთანდილ პოპიაშვილი, მამუკა და ზაზა შენგელიები, მამა მირიანი მხატვრის სახლთან შეკრებილან. კარლო ფაჩულია, მალხაზ კუხაშვილი, ძმები ავთანდილ და ტარიელ ვართაგავები აქ არიან...

ღამენათევი ნია აბესაძე, დაოსებული ტროტუარზე ჩამომჯდარა, ხელებში თავი ჩაურგავს და ბუტბუტებს. დამინახა და წამოდგა, გადამეხვია პროფესორი, ჩვენი ლექტორი: „ამას რას მოვესწარით, ამას, რას ხედავს ჩვენი თვალები ირაკლიო“. მეორე კურსზე ვიყავი. თედო ბექიშვილმა და ვაჟა ძიძიგურმა ნიასთან სახლში მიმიყვანეს, ნიამ დედა გამაცნო, ქალბატონი ქსენია ცხაკაია, თაობათა აღმზრდელი, უნივერსიტეტის პროფესორი... მერე... გვიან გავიგე, ნიას დედა, სულ ახალგაზრდა პირველკურსელი გოგონა მარო მაყაშვილთან ერთად კოჯრის მიდამოებში წითელი არმიის წინააღმდეგ მებრძოლ ქართველობას მხარში ედგა, როგორც მოწყალების და... მარო მაყაშვილი პოეტ კოტე მაყაშვილის უმშვენიერესი ქალიშვილი გმირულად დაიღუპა 1921 წლის 19 თებერვალს. მარო მაშინ 18 წლის იყო. მისი დაქალი ქსენია ცხაკაია კი გადარჩა, გადაურჩა ბოლშევიკების ტყვიას.

ნაშუადღევია, ნომადი ბართაიას, ზაურ მოლაშხიას, ნოდარ ჯალაღონიას, სამეგრელოდან ჩამოსული კოლხი ძმები თვალებში შესციცინებდნენ. ვახტანგი, მოვიკითხეთ ხარჩილავა, ვახტანგს სიძე გარდაეცვალა დაკრძალვაზეაო, მითხრეს მეგობრებმა.

ახალგაზრდა გოგონები, ქაშუეთის ქვის მოაჯირზე ჩამომსხდარან და გულშიჩამწვდომ „დიდოუდო ნანას“ მღერიან.

თავის უსათნოეს დასთან დოდოსთან ერთად, თამაზ წივწივაძე „ცისკრელებს“ ესაუბრება.

ჩოხაში გამოწყობილი მხარბეჭიან ვაჟკაცს, ასევე ჩოხაახალუხიანი, ასე ოთხი–ხუთი წლის ბიჭუნა აუტატებია და ამაყად მიდი–მოდის. პატარა პირმშოს კითხვას უმეორებს და უმეორებს, „აბა, შვილო სადაა საქართველო?“ და პატარაც პაწია თითის გაშვერით, ტიკტიკით პასუხობს, „აი, საქართველო, აი საქართველო“, პატარა ქართველი თითს ხან ვის მიუშვერს და ხან ვის... მამასაც სახე ებადრება... ასეთი პატარა სპექტაკლები ხშირად იმართებოდა მომიტინგეთათვის...

მთავრობისწინა მოედანი, თანდათან ივსება ხალხით, მოშიმშილეთა შორის გულშეწუხებულებმა

იმატეს, ცნობილი მკურნალი, ლეილა შეროზია ნატალია ბუღაძესთან ერთად, თავს დასტრიალებს გულშეღონებულ მოშიმშილეებს... თავზე აფერილდება მოშიმშილე შვილს, ზვიადს გულიკო გოცირიძე... ზვიადი მოსწავლეა, მაგრამ მაინც შიმშილობს. ეს ახალგაზრდები, მზადაა სამშობლოს სიცოცხლე ანაცვალონ. ბრძენს უთქვამს, – სამშობლო და მისი მომავალი ახალგაზრდებისააო, ეს ჭეშმარიტება აქ, მოშიმშილე ახალგაზრდებმა კარგად იციან.

ნოდარ წულეისკირი, მურმან ჯგუმბურიას კოლხურ ცულზე ესაუბრება. სურს კოლხური ცული დახატოს. პაწია ფურცელი მივაწოდე ნოდარს, და... დახატა ცული. იგი იარაღიც იყოო, უნიკალურიაო, ამბობს მწერალი.

სალომე ნიკოლეიშვილი, მანანა ჯანელიძე, გივი მიქაძე, იზოლდა შველიძე, ნანა მჭედლიძე, ზურაბ ქაფიანიძე, ვანო ჩხიკვაძე კინოთეატრ „რუსთაველის“ წინ შეკრებილან ჯემალ დავლიანიძე ნაძალადეველ მეზობლებთან საუბრობს...

პირველი საშუალო სკოლის შენობაში განთავსებულ, განათლების სამინისტროს პედაგოგიური კადრების ატესტაციის კაბინეტის კიბეებზე სვანები სხედან. ნაპო კაკრიაშვილმა მესამე სართულზე, თავის კაბინეტში ამიყვანა... ფანჯრები გამოაღო და... გაიხედეო, მითხრა. ხელისგულივით გამოჩნდა მთავრობის სახლისწინა მოედანი.. ლელა ვეფხვაძე თავდავიწყებით მღერის „სალაღობოს“. გრივერ ფარულავას, რევაზ სირაძისა და თამაზ ვაშაყმაძის გარშემო ახალგაზრდები შემოკრებილან. აგერ, მერაბ ბერიძე კოლეგებთან, თინათინ ჩხაიძე ქმართან, თემურ ალადაშვილთან ერთად. ჩამოვედით მესამე სართულიდან. თედო ბექიშვილი, ვაჟა და მერაბ ძიძიგურები რუსეთის იმპერიულ ზრახვებზე ბჭობენ. გურამ პეტრიაშვილი ზვიად გამსახურდიას თხოვნით რუსთავს წასულა მიტინგის ჩასატარებლად. საინგილოდან ჩამოსული ყიყიშვილებიც აქაა. ფოტოჟურნალისტი სლავა ჭანტურია, განუყრელი ფოტოაპარატით უნიკალურ კადრებზე „ნადირობს“.

მე, კობა არაბულმა და ნაპო კაკრიაშვილმა, „აღმოსავლეთის ფრონტის“ მონახულება გადავწყვიტეთ და ლენინის მოედნისკენ ავიღეთ გეზი. მეტროდან ბაადურ ბალარჯიშვილი ამოდის კახელებთან ერთად, შორით თემურ ჩალაბაშვილი დავლანდეთ. თენგიზ ჯობავა ცაშელებს მიუძღვება... ბუბა ხოტივარი შემოგვხვდა და... თვალებანთებული გვიყვება აკაციისა და ვენახის იგავს, თუ როგორ ცდილობს მთელი სიცოცხლე აკაცია ყურძენი მოისხას. ბევრი გვახარხარა ბუბამ...

გაივსო მოედანი ხალხით, საღამოსპირია. ნემსსაც ვერ ჩააგდებ. შიგადაშიგ შავი ხმები გაისმის... „დაგვარბევენ“, „დაგვხოცავენ“, „აგვჩეხავენ“, „ვერ გაბედავენ“, „ძველი დრო აღარაა“. შუაღამე მოიზლაზნება... სანთლები ანათებენ წყვდიადს...

უწმინდესმა და უნეტარესმა, სრულიად საქართველოს კათოლიკოს–პატრიარქმა ილია მეორემ, იგრძნო რა საფრთხის მოახლოება, სულიერ შვილებს დაშლისაკენ მოგვიწოდა... არ შევისმინეთ სულიერი მამის თხოვნა–მუდარა. დაგვავიწყდა, რომ საბჭოთა იმპერია „ბოროტია და ბიწიერი“. „იგი ბუნებით ბოროტია და ბიწიერი“...

კვლავ ჩაიცვა შავი საქართველომ, „ქართვლის დედა“ სისხლის ცრემლებსა ღვრის... ჯოჯოხეთური ცხრა აპრილის დილა გაუთენდა საიერიოს...

9 აპრილს დილაუთენია, უშიშროების საბჭოსთან მისვლა მოვახერხე, იქვე, ჯემალ ქირია და ზაურ ფიფია დავინახე, გაოგნებულები... ნიღბიანი ჯარიკაცებითა და ტანკებითაა მთავრობის სახლი გარშემორტყმული. ცაზე ყვავები ჩხავიან, მძაფრი სუნი ტრიალებს, ვხედავთ სახანძრო მანქანებიდან წყლის ნიაღვარი იღვრება... ჩვენ ჯერ კიდევ არ ვიცით თუ როგორ გაგვწირა, აგვჩეხა უიარაღო, სამშობლოზე სანთლებით მლოცველები „მშობლიურმა“, „საკუთარმა“ საბჭოთა ჯარმა. სულ მალე შაოსანი „ქართვლის დედა“ დაიტირებს იბერიული ზარით და ზეციური საქართველოს მარადიული საცხოვრისისკენ გაისტუმრებს მამულისათვის თავგანწირულ შვილებს: აზა ადაშიას, ნათია ბაშალეიშვილს, ეკა ბეჟანიშვილს, ნატო გიორგაძეს, თამარ დოლიძეს, თინათინ ენუქიძეს, ნინო თოიძეს, ზაირა კიკვაძეს, მანანა ლოლაძეს, თამარ სვანიძეს, მანანა მელქაძეს, მამუკა ნოზაძეს, გიორგი ქარსელაძეს, ნანა სამარგულიანს, შალვა ქვასროლიაშვილს, ნოდარ ჯანგირაშვილს, მზია ჯინჭარაძეს, ელისო ჭიპაშვილს, თამარ ჭოველიძეს, მარინე ჭყონია–სამარგულიანს...

28 წელი გავიდა 9 აპრილს თავსდამტყდარ საზარო ეროვნული უბედურებიდან. მას შემდეგ მრავალჯერ ჩაიცვა საქართველომ შავი და ამ საშინელებების შემდეგ არ მეგონა...

არ მეგონა, ასე თუ დაგვიბრმავდებოდა უფლისკენ მაცქერალი თვალი და უსულგულობა დაგვრევდა ხელს.

არ მეგონა, სულს თუ ასე დაასენიანებდა ძველთაძველი სენი „განცხრომა, სმა–ჭამა ყიზილბაშური, სიძვა–მრუშობა, ტყუილი, ხორცთ განსვენება... კეკლუცობა უგვანი...

არ მეგონა, – „ტკბილმოსაუბრე გველის ყურისმგდებელ ევად თუ გარდავიქცეოდით“.

არ მეგონა, იმ დიდი ცხრა აპრილის შემდეგ, ერთ მუშტად შეკრული, სიყვარულით შედუღაბებული საქართველო ნაწილ–ნაწილ, პარტიებად, არასამთავრობოებად თუ დაიშლებოდა და გამეფდებოდა „სირეგვნე შეუწონარი“.

არ მეგონა, თუ ასე გახმებოდა, „ყანა სოფლისაი“, „გამრავლებითა უსჯულოებისაითა, ასე თუ გახმებოდა „სიყვარული მრავალთაი“. ხელობად, ცხოვრების საზრისად „მუცლის ავსება–დაცარიელებას გავიხდიდით“.

არ მეგონა, ასე თუ „აეკვრებოდა მუცელი ზეცას“ და „დაეცემოდა სული მიწას“.

იმედია, დაგვიბრუნდება „მხედველობა სულისაი“, ევრო–ამერიკულ კნავილ–ბღავილს „ასე ჩონგური“, „ლილეო“, „მრავალჟამიერი“... შეცვლის. სიყვარულით აძგერდება გული საქართველოისა, უწინდებურად უფლისაკენ მივაპყრობთ მზერას. ამას ცხრა აპრილის გმირულად დაღუპულ მამულიშვილთა ხსოვნა ითხოვს... იმედია, უფლის მადლით, „ვით დიდგორთან ვით შამქორთან ისევ ავქართველდებით“.

ირაკლი ვაშაყმაძე

ვინ და რის სანაცვლოდ იგებს ტენდერებს ერთ პირთან მოლაპარაკების გზით და რა თანხებზეა საუბარი?

ვინ და რის სანაცვლოდ იგებს ტენდერებს ერთ პირთან მოლაპარაკების გზით და რა თანხებზეა საუბარი? რა კვლევა დადო ა/ო „ახალმა საქართველომ“ და რა რეაგირება მოჰყვა ამას შესაბამისი ორგანოების მხრიდან? „საერთო გაზეთი“ ამ საკითხზე „ახალი საქართველოს“ წარმომადგენელს **დიმიტრი ბიძინაშვილს** ესაუბრა.

— საუბარი მაქვს 7 დეპუტატზე და ასევე ერთ მინისტრზე - ტარიელ ხაჩიკაშვილზე. ჩვენს მიერ ჩატარებული კვლევის პირველი ნაწილი იყო ის, თუ რამდენი მილიონერი დეპუტატი არის დღეს საქართველოს საკანონმდებლო ორგანოში, პარლამენტში და აღმოჩნდა რომ დღეს, პარლამენტში გვყავს 41 მილიონერი დეპუტატი. ჩვენი კვლევის მეორე ნაწილი იყო უკვე მათი ბიზნეს-ინტერესები თუ იკვეთებოდა სახელმწიფოსთან მიმართებაში და აღმოვაჩინეთ, რომ ზემოხსენებულ 7 დეპუტატს და

ტარიელ ხეჩიკაშვილი

ერთ მინისტრს ჰქონდათ მოგებული ტენდერები და ჰქონდათ უამრავი ერთ პირთან მოლაპარაკების გზით მიღებული ხელშეკრულება. არ დაგიმალავთ და ცოტა გავოცდით. აი, ნახეთ, მაგალითად, **იოსებ მაკრახიძე**, მის კუთვნილ კომპანიას ტენდერით აქვს მოგებული 75 მილიონ 944 ლარი, ხოლო ტენდერის გარეშე 77 მილიონ 387 ათასი ლარი. ბატონი მაკრახიძის კომპანია გზებს აგებს, სხვადასხვა სამუშაოებს ასრულებს ამ მიმართულებით, ეს კომპანია ღიად, პირდაპირ მის სახელზეა რეგისტრირებული. ეს ტენდერები ძირითადად ცხადდება სახელმწიფოს მხრიდან ცხადია, ხომ... სახელმწიფო უწყებებიდან იღებენ ეს ადამიანები ტენდერებს. დიახ, სახელმწიფოსგან მიიღო მაკრახიძის კომპანიამ ერთ პირთან მოლაპარაკების გზით ეს ხელშეკრულებები. ასევე მინიტრმა ტარიელ ხეჩიკაშვილმაც, მის კომპანიას ყველა ხელშეკრულება, რაც ჩვენ მოვიძიეთ, მიღებული აქვს ერთ პირთან მოლაპარაკების გზით. მისი კომპანიებია – შპს „იბერია ავტო“, შპს „იბერია სერვისი“, შპს „იბერია ავტო-ლენდი“, „კია მოტორს ჯორჯია“ და „ავტოსერვის - კავკასია“. აი, მისი კომპანიები, მას 29 მილიონ 736 ლარი აქვს მიღებული სწორედ ერთ პირთან მოლაპარაკების გზით.

— დიმიტრი, რას ნიშნავს ეს ერთ პირთან მოლაპარაკების გზით მიღებული ხელშეკრულებები, რაიმე სახის დარღვევასთან გვაქვს საქმე?

— რასთან გვაქვს საქმე, რა დაშავდა და დაზიანდა ამით? პირველი და უმთავრესი - ცხადია, ბიუჯეტი დაზარალდა, იქიდან გამომდინარე, რომ როდესაც ტენდერი ცხადდება, გარკვეული სახის ბიჯების კლება ხდება და რომელი კომპანიაც ნაკლებ თანხას შესთავაზებს სამუშაოს გაწევის სანაცვლოდ, სწორედ ის კომპანია იგებს იმ კონკრეტულ ტენდერს, ასე რომ, პირდაპირ ბიუჯეტი ზარალდება. მეორე პრობლემა კი ის არის, რომ ერთ პირთან მოლაპარაკების გზით დადებულ ხელშეკრულებას რაღაც უნდა უსწრებდეს წინ, ანუ აუცილებლობას უნდა წარმოადგენდეს და სად არის ეს აუცილებლობა? მაგალითად, შეიძლება ფორს-მაჟორული სიტუაცია არის და ამიტომ, რაღაც რომ სასწრაფოდ გჭირდება, მაშინ შეგიძლია გააფორმო ფორს-მაჟორში და არა უბრალოდ სურვილისამებრ, ხომ?! რაღაც განსაკუთრებული უნდა ხდებოდეს და თუ არ ხდება რაღაც გადაუდებელი, არ არის ფორს-მაჟორული სიტუაცია და უბრალოდ, დებ ამ ხელშეკრულებას ერთ პირთან მოლაპარაკების გზით, ე.ი. შეიძლება გაჩნდეს გონივრული ეჭვი, რომ რაღაც დარღვევასთან გვაქვს საქმე, თავისთავად რაღაც დარღვევას კვეთს. აი, მაგალითად, ტარიელ ხეჩიკაშვილის შემთხვევაში ავტომობილების ტექმომსახურებასთან, დათვალიერებასთან და ა.შ.გვაქვს საქმე. მის კომპანიას ავტომობილები ჩამოყავს, ასეთ მომსახურებას წევს მისი კომპანია და ყველამ კარგად ვიცით, რომ ავტომობილს ზეთის შეცვლაც სჭირდება, საბურავის გამოცვლაც და ა.შ. აი, ეს ხომ გადასარევად და წინასწარ იციან ამ ადამიანებმა და მარტივად შეუძლიათ, რომ გამოაცხადონ ტენდერი ამ მომსახურებაზე. მაგრამ არა, არ ცხადდება, სწორედ ხეჩიკაშვილის კომპანიასთან გაფორმდა ხელშეკრულება ერთ პირთან მოლაპარაების გზით. და აღსანიშნავი იცით, რა არის, რომ, ძირითადად, ამ ერთ პირთან მოლაპარაკების გზით დადებული ხელშეკრულებები არის 2012 წლის შემდგომ დღემდე, და ესეც, რა თქმა უნდა, გარკვეულ ეჭვს იწვევს. მუდმივად აფორმებენ ეს ადამიანები ამგვარ ხელშეკრულებებს, იგებენ ტენდერებს ერთ პირთან მოლაპარაკების გზით, ვიმეორებ, აფორმებენ ხელშეკრულებებს ერთ პირთან მოლაპარაკების გზით, ანუ ეს თავისთავად უკვე პრობლემაა და ძალიან ბევრი კითხვა გაჩნდა ამასთან დაკავშირებით საზოგადოებაში. ჩვენ მოვუწოდეთ კიდეც შესაბამის კომპეტენტურ ორგანოებს. რომ დაინტერესებულიყვნენ ამ საკითხით და მოეხდინათ რეაგირება, თუმცა არანაირი დაინტერესება, არანაირი რეაგირება არ მომხდარა, არავის არაფერი უკითხავს ჩვენთვის, დიახ, არანაირი შესაბამისი ნაბიჯები ხელისუფლებისა და სამართალდამცავი ორგანოების მხრიდან არ ყოფილა.

სახელმწიფო და სახელმწიფო სტრუქტურები ამ ტენდერებს აცხადებენ იმიტომ, რომ ყველა კომპანია ჩააყენონ თანაბარ პირობებში და შეიძლება ვიღაცამ უფრო ნაკლებად გააკეთოს ეს საქმე ვიდრე, მაგალითად, ერთ პირთან მოლაპარაკების გზით რომ გავაფორმოთ ვიღაცასთან ხელშეკრულება, ხომ? ტენდერი რომ გამოგვეცხადებინა, შესაძლოა რამდენიმე ათასი ლარით ნაკლებათ გაგვეკეთებინა ის საქმე, ვიდრე ერთ პირთან მოლაპარაკების გზით გააკეთებდი.

დიმიტრი ბიძინაშვილი

— ფიქრობთ, ხდება ლობირება და ერთად აკეთებენ ფულს ამ ერთ პირთან მოლაპარაკების გზით თუ რატომ ხდება ასე ? და თუ ლობირებ და ერთ საქმეში ხარ, ცხადია, არც გამოიძიებ, ამასაც გადაბლოკავ იგივე კონტაქტების საშუალებით...

— რა თქმა უნდა, სწორედ ასეთი ეჭვი ჩნდება. ჩვენ, არც შესაბამისი უწყება ვართ, რომ ძიების საშუალება გვქონდეს, მით უფრო ამ ყველაფრის აღკვეთის საშუალება. ჩვენ დავდეთ ფაქტები - ჩავატარეთ კვლევა და გამოიძიონ ბატონო, რა უშლით ხელს? ფაქტია, რომ არავინ დაინტერესებულა ამ საქმით, არავის არ გადაუმოწმებია! რატომ ხდება ასეთი ინტენსივობით ეს ყველაფერი. 4 ათასამდე ხელშეკრულებაა საერთო ჯამში გაფორმებული, 131 მილიონი ლარი აქვთ ბიუჯეტიდან მიღებული ამ კომპანიებს, შესაბამისად, რა თქმა უნდა, ეს ყველაფერი ეჭვს ბადებს. ეს ხომ არ არის 100, 200 ან 300 ლარი 131 მილიონ ლარზეა აქ საუბარი.

— უდაოდ, უცნაურია, რბილად რომ ვთქვათ... შესაბამისი უწყებების არ დაინტერესება ამ საკითხით, კიდევ უფრო მეტ კითხვას ბადებს და ეჭვის საფუძველსაც იძლევა...

— დიახ, ეს ეჭვები ჩნდება და ეს ეჭვები რომ არ გაჩნდეს და ადამიანებს არ ჰქონდეთ მაგის განცდა, ხომ არ ხდება იგივე თანხების გაყოფა, ვიღაცის ინტერესების ლობირება, ამიტომ არის საჭირო და ამიტომ ვთხოვთ ჩვენ შესაბამის ორგანოებს, რომ გამოიძიონ ეს საკითხი და ერთხელ და სამუდამოდ დამთავრდეს ამაზე საუბარი ვის რა ინტერესები აქვს და არის თუ არა საუბარი, მაგალითად, თანამდებობის ბოროტად გამოყენებაზე, იმისთვის რომ რომელიმე მაღალჩინოსანმა მიიღოს ეს ერთ პირთან მოლაპარაკების გზით ხელშეკრულება ან გაიმარჯვოს ტენდერში. სწორედ ამიტომ ძალიან ბევრი კითხვა გაჩნდა საზოგადოებაში უნდა დაინტერესდნენ შესაბამისი ორგანოები, გამოიძიონ, დადონ დასკვნა და ერთხელ და სამუდამოდ გაგვაგებინონ რაშია საქმე?

ვიმეორებ, მინისტრი **ტარიელ ხეჩიკაშვილის** კომპანიასთან პირდაპირ და მხოლოდ ერთ პირთან მოლაპარაკების გზით არის გაფორმებული ყველა ხელშეკრულება, ყველა ტენდერი ასე აქვს მოგებული. ასეთი სიტუაციაა სხვებთანაც - ერთ პირთან მოლაპარაკების გზით კომპანიებს შპს „ტექნოს“ და „ჯეოინჯინერინგს“ აქვთ მოგებული ტენდერები.

ჩვენ ვამოწმებთ ყოველდღიურად ამ ყველაფერს და ვადევნებთ თვალს ამ საკითხს. თითოეული ჩვენთაგანი უნდა ვიყოთ სულ მობილიზებულნი იმისთვის, რომ გავაკონტროლოთ ის ბიუჯეტი, რომელიც გვეკუთვნის ჩვენ, ქართულ საზოგადოებას. დარწმუნებული ვარ, ბიძინა ივანიშვილმა არ იცის რას სჩადის თავის დროზე ხელისუფლებაში მის მიერ მოყვანილი გუნდის ზოგიერთი წევრი და იქნებ თქვენი გაზეთის საშუალებით შეიტყოს ამ ყველაფრის შესახებ.

დარწმუნებული ვარ, ბიძინა ივანიშვილმა არ იცის რას სჩადის თავის დროზე ხელისუფლებაში მის მიერ მოყვანილი გუნდის ზოგიერთი წევრი და იქნებ თქვენი გაზეთის საშუალებით შეიტყოს ამ ყველაფრის შესახებ.

ლიკა გვაზავა

„დღეს სტუმარია ეგ ჩემი...“

საქართველო მსოფლიოში სტუმართმოყვარეობით რომ არის განთქმული, ახალი ამბავი ნამდვილად არ გახლავთ. თუმცა, ჩვენდა სამწუხაროდ, სტუმართმოყვარე, თავაზიანი ხალხის გვერდით გამოჩნდნენ ადამიანები, რომლებიც ჩამოსული სტუმრების მიმართ, რატომღაც აგრესიულად არიან განწყობილები.

სულ ახლახან საქართველოს ფეხბურთელთა ნაკრები მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევ ტურში სერბეთის გუნდს მასპინძლობდა. ჩვენდა სამწუხაროდ, მატჩი სტუმრების გამარჯვებით დასრულდა. ახლა თამაშის განხილვას არ შევუდგებით, რადგან სხვა თემაა თუ როგორ ითამაშეს და რატომ წააგეს ქართველმა ფეხბურთელებმა.

მთავარი, ძირითადი მოვლენები მატჩის დამთავრების შემდეგ განვითარდა წაგებით გაბრაზებული, თითქოსდა პირველად მოხდა ასეთი შემთხვევა, ქართველი გულშემატკივრები სერბ სტუმრებს ფიზიკურად დაუპირისპირდნენ. იმასაც ამბობენ, მათი, სერბეთის დროშა დაწვესო! გასაგებია, რომ წაგება, ისიც საკუთარ მოედანზე, არავის უხარია, მაგრამ რა შუაში არიან სტუმრები? თუ ვინმე საცემი ან საჩხუბარი იყო, ისევ ჩვენი გუნდი თავისი ხელმძღვანელობით. გულდასაწყვეტი ისიც გახლავთ, რომ ქართველი გულშემატკივარი ოდითგანვე გამოირჩეოდა ობიექტურობით, სტადიონზე ჩამოსულ სტუმრებთან ხომ საერთოდ არასოდეს მომხდარა დაპირისპირება.

მავანი შემოგვედავება, გულშემატკივრებს შორის დაპირისპირება ყველა ქვეყანაში ხდებაო. კი, მაგრამ, რაღა სიმახინჯე უნდა გადმოვიღოთ უცხოეთიდან, განა კარგი ცოტაა? სპორტულ სარბიელზე ადამიანი სიამოვნების მისაღებად უნდა მიდიოდეს და არა აგრესიის გამოსავლენად.

სამწუხარო გარემოება ისიც გახლავთ, რომ მომხდარი ინციდენტი ქართულ მედიას არ გაუშუქებია. არავინ დაინტერესებულა, თუ რას იტყვიან ევროპელები ჩვენზე, სერბეთი ხომ შუაგულ ევროპაშია (ეს მათთვის ვინც არ იცის ისტორია-გეოგრაფია). კვლავაც ჩამოვლენ იქაური ტურისტები ჩვენთან თუ საქართველოს არასტაბილურ ქვეყნად ჩათვლიან, არავის აინტერესებს. განსაკუთრებით მათ, ვინც ასეთი უმსგავსობა ჩაიდინა.

კიდევ ერთი შემთხვევა, რომელიც ტურიზმთან და ტურისტებთან არის დაკავშირებული. რამდენიმე დღის წინ ინდოელ ტურისტებს ერთ-ერთ კლუბში, მათივე თქმით, ორ ბოთლ ლუდში 3700 (!) ლარი გადაახდევინეს. ამის შესახებ, როგორც ითქვა, გამოძიება მიმდინარეობს და, ალბათ, სიმართლეს მალე გავიგებთ. თუმცა, მსგავსი შემთხვევა, როდესაც კლიენტებს მიზერულ მენიუში ასტრონომიული თანხა გამოსძალეს, თბილისში რამდენიმე წლის წინათაც მოხდა.

უნებლიედ იკითხავს ადამიანი, თუ საიდან, როგორ ვისწავლეთ ქართველებმა ქცევის ასეთი წესები, აგრესიის გამოვლინება: პასუხი რთულიც არის და მარტივიც. სულო ცოდვილო, და, მავანს, კონკრეტულად საქართველოს მტრებს, შინაურებს და მეზობლებს, სულაც არ სიამოვნებთ, რომ შარშან საქართველოში 6 მილიონი ტურისტი იმყოფებოდა. ჩვენთვის ძნელია, ვთქვათ, თუ რა თანხა შემოვიდა ქვეყანაში ტურიზმით, მაგრამ ცოტა ნამდვილად არ იქნებოდა. დაუკვირდით, როგორ ყიდულობენ ჩამოსულები არამარტო სუვენირებს, არამედ ძირითად ქართულ პროდუქტებსაც კი.

დიახ, სწორედ ეს არ უნდათ ჩვენი ქვეყნის მტრებს. ამიტომაც მართულ ადამიანებს აგულიანებენ და აგრესიისკენ უბიძგებენ, ეგებ როგორმე სახელი გავუტეხოთ საქართველოს, შემცირდეს ქვეყანაში ვიზიტორთა რაოდენობაო. აი, ამიტომაც ხდება, მართალია, ერთეული, მაგრამ ყოვლად გაუმართლებელი აგრესიული, ხულიგნური გამოხდომების შემთხვევები. ასეთი ველური ქცევები უცილობლად უნდა აღიკვეთოს ჩანასახშივე, თორემ შემდეგ, თუ ფრთები გაშალა, თითზე კბენა უკვე გვიანი იქნება.

ცოტა ხნის წინ, ერთ-ერთი ვითომ პალესტინელი ტურისტი მართლმადიდებლურ საყდარს და, საერთოდ, ჩვენს სარწმუნოებას შეურაცხყოფდა! საბედნიეროდ, გამოჩნდა ხალხი, რომლებმაც მალევე აღკვეთეს გაურკვეველი არსების ვანდალიზმი. შემდეგ საქმეში პოლიციაც ჩაერია. სამწუხაროდ, არც ეს ფაქტი გაუშუქებიათ ჩვენს „დამოუკიდებელ„ მედია-საშუალებებს. ეს მაშინ, როდესაც საქართველოში ყველას და ყველაფრის უფლებებს „იცავენ“.

აბა, ვინმემ გაბედოს და თუნდაც იეღოველს, გინდაც სექსუმცირესობის წარმომადგენელს ცუდად შეხედოს, როგორი ხმაური ატყდება, არიქა, ადამიანის უფლებების ირღვევაო. სახალხო დამცველიც უმალ გააშანშალებს მოხსენებას საერთაშორისო ორგანიზაციებში. კი, მაგრამ, ბატონებო, რატომ, არ არის დაცული საქართველოში ქართველების უფლებები, რატომ იჩაგრება მართლმადიდებლობა, აინტერესებს ვინმეს?

პალესტინელ ვანდალს სოციალურ ქსელებში, რომლითაც გავრცელდა მომხდარი ფაქტი, დამცველები უმალ გამოუჩნდნენ. „რა მოხდა, მთვრალი იყოო“. კიდევ უფრო შორს წავიდნენ ვანდალდამცველი სატანისტები (ათეისტის დარქმევა მათთვის არ შეიძლება) და მათ დასჯას ითხოვდნენ, ვინც, საბედნიეროდ, პალესტინელის ვანდალიზმი აღკვეთეს. თუმცა მსგავსი არც სტუმარი გვჭირდება და არც — ტურისტი.

გია ბურდული
551 71 27 07



„საერთო გაზეთის“ იურიდიული კონსულტაცია

„საერთო გაზეთის“ მკითხველთა შეკითხვებს პასუხობს გაზეთის იურიდიული კონსულტანტი, ადვოკატი

მთვარისა კევლიშვილი.
ტელ.: 2 79 63 91;
0 790 60 64 69;
5 93 78 64 69

* * *

— როგორ ხდება შრომითი ხელშეკრულების დადება დამსაქმებელსა და დასაქმებულს შორის?

— საქართველოს ორგანული კანონის “საქართველოს შრომის კოდექსის”მე- 6 მუხლის მიხედვით, 1-ლი ნაწილის მიხედვით, შრომითი ხელშეკრულება იდება წერილობითი ან ზეპირი ფორმით, განსაზღვრული, განუსაზღვრელი ან სამუშაოს შესრულების ვადით.

მე-2 ნაწილი: წერილობითი შრომითი ხელშეკრულება იდება მხარეთათვის გასაგებ ენაზე. წერილობითი შრომითი ხელშეკრულება შეიძლება დაიდოს რამდენიმე ენაზე. თუ წერილობითი შრომითი ხელშეკრულება რამდენიმე ენაზეა დადებული, იგი უნდა შეიცავდეს დათქმას იმის თაობაზე, თუ რომელ ენაზე დადებულ ხელშეკრულებას ენიჭება უპირატესობა ხელშეკრულებების დებულებებს შორის განსხვავების შემთხვევაში.

მე-3 ნაწილი: პირის განცხადება და მის საფუძველზე დამსაქმებლის მიერ გამოცემული დოკუმენტი,

რომლითაც დასტურდება დამსაქმებლის ნება პირის სამუშაოზე მიღების თაობაზე, უთანაბრდება შრომითი ხელშეკრულების დადებას.

მე-4 ნაწილი: დამსაქმებელი ვალდებულია დასაქმებულის მოთხოვნის შემთხვევაში გასცეს ცნობა დასაქმების შესახებ, რომელიც მოიცავს მონაცემებს შესრულებული სამუშაოს, შრომის ანაზღაურების, შრომითი ხელშეკრულების ხანგრძლივობის თაობაზე.

მე-5 ნაწილი: შრომითი ხელშეკრულებით შეიძლება განისაზღვროს, რომ შრომის შინაგანაწესი ხელშეკრულების ნაწილია. ამ შემთხვევაში დამსაქმებელი ვალდებულია პირს შრომითი ხელშეკრულების დადებამდე გააცნოს შრომის შინაგანაწესი (ასეთის არსებობის შემთხვევაში), ხოლო შემდგომ — მასში შეტანილი ნებისმიერი ცვლილება.

მე-6 ნაწილი: თუ დასაქმებულთან დადებულია რამდენიმე შრომითი ხელშეკრულება, რომლებიც მხოლოდ ავსებს და მთლიანად არ ცვლის ერთმანეთს, ყველა ხელშეკრულება ინარჩუნებს ძალას და განიხილება, როგორც ერთი შრომითი ხელშეკრულება.

მე-7 ნაწილი: წინა შრომითი ხელშეკრულება ძალას ინარჩუნებს იმდენად, რამდენადაც მისი დებულებები შეცვლილი არ არის შემდგომი ხელშეკრულებით.

მე-8 ნაწილი: დასაქმებულთან ერთსა და იმავე პირობაზე დადებული რამდენიმე შრომითი ხელშეკრულების არსებობის შემთხვევაში უპირატესობა ენიჭება ბოლოს დადებულ ხელშეკრულებას.

* * *

— რას ნიშნავს ვალდებულების შეწყვეტა დეპონირებით?

— თქვენთვის საინტერესო საკითხს პასუხობს საქართველოს სამოქალქო კოდექსის 434-ე მუხლი, რომლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, თუ კრედიტორი აყოვნებს შესრულების მიღებას, ან უცნობია მისი ადგილსამყოფელი, მოვალე უფლებამოსილია შესრულების საგანი შეინახოს სასამართლოსა ან ნოტარიატში,ხოლო ფული ან ფასიანი ქაღალდი შეიტანოს ნოტარიუსის სადეპოზიტო ანგარიშზე.

ამავე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, დეპონირებით მოვალე თავისუფლდება კრედიტორის წინაშე ვალდებულებისაგან.

* * *

— რას ნიშნავს ნასყიდობა გადახდის განვადებით?

— სამოქალაქო კოდექსის505-ე მუხლის მნიხედვით, განვადებით ნასყიდობისას გამყიდველი ვალდებულია გადასცეს ნივთი მყიდველს ფასის გადახდამდე. ნივთის ფასის გადახდა მყიდველის მიერ ხდება ნაწილ-ნაწილ დროის განსაზღვრულ შუალედებში.

საქართველოს მწერალთა კავშირი სამძიმარს უცხადებს მწერალ მირონ ხერგიანს ვაჟის
გიგი ხერგიანის
გარდაცვალების გამო.
დაკრძალვა 7 აპრილს, ხუთშაბათს, ქ. თბილისი, ნუცუბიძის ფერდობი, I მ/რ, მე-16 კორპუსი

„საერთო გაზეთი“ მწუხარებას გამოთქვამს მწერალ მირონ ხერგიანის ვაჟის
გიგი ხერგიანის
გარდაცვალების გამო და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

პროდუქტები, რომლებიც ღვიძლის ალდგენას უწყობს ხელს

ღვიძლი ერთგვარი ფილტრია, რომელიც დაუღალავად მუშაობს, რათა იმ მავნე ნივთიერებებისგან დაგვიცვას, რომლებიც ჩვენს ორგანიზმში სხვადასხვა გზით ხვდება.

გოგრა

ღვიძლს ძალიან მოსწონს ის ხილი და ბოსტრეული, რომელსაც წითელი ან ნარინჯისფერი რბილობი აქვს. ამიტომ გასაკვირი სულაც არ გახლავთ, რომ წითური გოგრა ძალზე „ეგემრიელება“. იმის გამო, რომ

გოგრაში დიდი რაოდენობით შედის ვიტამინი T. ის საქონლის, ღორის ხორცისა და სხვა ცხიმიანი კერძების შესანიშნავი გარნირია, რადგან ეს ვიტამინი ხელს უწყობს მძიმე საკვების მონელებას და ღვიძლს ათავისუფლებს.

კიდევ რითი არის სასარგებლო გოგრა

ამ ცოტა ხნის წინათ სეულელმა მეცნიერებმა დააადგინეს, რომ გოგრა ხელს უწყობს წონაში კლებას. ჩატარდა მრავალწლიანი ექსპერიმენტი, რომელშიც 20 და უფრო მეტი ასაკის 15 ათასზე მეტი ადამიანი მონაწილეობდა. სპეციალისტებმა ანალიზი გაუკეთეს ყველა მონაწილის გასტრონომიულ მიდრეკილებებს და დაადგინეს, რომ გოგრა წონაში დაკლებას უწყობს ხელს. განსაკუთრებით ეფექტურად ის ქალების სხეულის მასის შემცირებაზე მოქმედებს.

ლამინარია

ამ წყალქვეშა მცენარეს ზღვის კომბოსტოსაც ეძახიან. მის ფოთლებში 5% ალგინის მჟავა შედის, რომელიც მავნე ნივთიერებების ბუნებრივ უტილიზატორად ითვლება. ალგინატებში გაერთიანებულია ზოგიერთი ქიმიურად აქტიური შენაერთი, ასევე მძიმე მეტალების მარილები. ისინი, ეხმარებიან ღვიძლს, დაიცვას ორგანიზმი მავნე ნივთიერებებისგან.

კიდევ რითი არის სასარგებლო ლამინარია

ზღვის კომბოსტოში ძალიან დიდი რაოდენობით იოდი შედის, რომელიც იცავს ორგანიზმს ფარისებრი ჯირკვლების დაავადებებისგან, ამცირებს ქოლესტერინის დონესა და ონკოლოგიური დაავადებების რისკს.

რძის პროდუქტები

ჯობს, უპირატესობა მიანიჭოთ ნაკლებადცხიმიან კეფირს, მაწონს და იოგურტს. ყველა ეს პროდუქტი აუმჯობესებს კუჭ-ნაწლავის მიკროფლორას და ხელს უწყობს მავნე ნივთიერებების გამოდევნას ორგანიზმიდან. გარდა ამისა, რძის პროდუქტები „შეიწოვენ“ ტოქსინებს, მათ შორის იმ ნივთიერებებს, რომლებიც ორგანიზმში დაბინძურებული ჰაერიდან ხვდება და გამოდევნიან მათ.

კეფირისა და მაწვნის ღირსება გახლავთ ის, რომ მათში ბევრი სასარგებლო ბაქტერია შედის, რომლებიც საკვების გადამუშავებას უწყობენ ხელს.

კურაგა (გარგრის ჩირი)

ღვიძლს ძალიან უყვარს ტკბულეული, ნებისმიერი ჩირი კი უფრო სასარგებლოა, ვიდრე კანფეტი და ცხიმიანი ნამცხვარი. ამ ცოტა ხნის წინათ კი მეცნიერებმა დაადგინეს, რომ კურაგის რეგულარული გამოყენება მკვეთრად ამცირებს ღვიძლის კიბოს რისკს.

კიდევ რითი არის სასარგებლო კურაგა

ამერიკელმა მეცნიერებმა დაადგინეს, რომ ფენოლის კომპონენტები, რომლებიც კურაგაშია, შესანიშნავი იარაღია მეტაბოლურ სინდრომთან საბრძოლველად, რომელიც ჭარბწონიანობას და ორგანიზმში ანთებით პროცესს იწვევს.

ფენოლის კომპონენტები არა მარტო ანეიტრალებენ ამ გამოვლინებებს, არამედ ამცირებენ მავნე ქოლესტერინის დონეს, რომელიც ნეგატიურად ზემოქმედებს გულ-სისხლძარღვთა სისტემაზე და ღვიძლის მუშაობაზე.

ზეითუნის ზეთი

ზეითუნის ზეთი შეიცავს E ვიტამინს, რომელიც მთავარი ოქსიდანტია. ის იცავს ორგანიზმს თავისუფალი რადიკალების ზემოქმედებისგან, იმ ნივთიერებებისგან, რომლებიც მზის სხივების, სიგარეტის ბოლის, დაბინძურებული ჰაერისა და რადიაციის ზემოქმედებით წარმოიქმნება. სწორედ ამ მავნე ნივთიერებებს ებრძვის ჩვენი ღვიძლი.

კიდევ რითი არის სასარგებლო ზეითუნის ზეთი

ზეთისხილი ნებისმიერი ტოქსიკური ნივთიერების ნეიტრალიზებაში ეხმარება ორგანიზმს. ამიტომ თუ საზეიმო საღამოს მოწყობას აპირებთ, სტუმრებს აუცილებლად

ჩვენს და ჩვენი გაზეთის ერთგულ მეგობარს, ცნობილ ბიზნესმენს, ქველმოქმედსა და საზოგადო მოღვაწეს დავით ინჯიას ვულოცავთ ღირსშესანიშნავ თარიღს — დაბადებიდან 65 წლის იუბილეს და ვუსურვებთ მზეგრძელობას, სიკეთეს, სიხარულს, ბედნიერებას თავის დიდ ოჯახთან ერთად

„საერთო გაზეთი“

გაუმასპინძლდით სალათებით, რომლებშიც უხვად იქნება გამოიყენებული ზეითუნის ზეთი და ზეთისხილი.

ღვიძლისთვის აუცილებელი ვიტამინები

ღვიძლმა რომ კარგად იმუშაოს და არ გადაიტვირთოს, იზრუნეთ იმაზე, რომ თქვენს რაციონში რაც შეიძლება მეტი ისეთი ვიტამინი იყოს, რომლებიც ამ ორგანოსთვის სასარგებლოა.

A ვიტამინი. შედის ყველა წითელი და ნარინჯისფერი ხილისა და ბოსტნეულის შემადგენლობაში. განსაკუთრებით მდიდარია კაროტინით სტაფილო, ჭარხალი, ბულგარული წიწაკა და გოგრა.

ვიტამინი B3. დიდი რაოდენობით შედის ლობიოში, მზესუმზირაში, ლიმონში, მწვანე ჩაისა და ბანანში.

რიბოფლავინი (ვიტამინი B12). ეს ვიტამინი დიდი რაოდენობით არის ატამში, მსხალში, ჭარხალში, მჟაუნაში, ღვიძლში, თევზში, ყვავილოვან კომბოსტოში, ხორცსა და კვერცხში.

ვიტამინი C. ასკორბინის მჟავა დიდი რაოდენობით არის ხილსა და ბოსტნეულში, მცენარეების მწვანე ნაწილში და ასკილის ნაყოფში.

E ვიტამინით მიდარია ბურღულეული, მცენარეული ცხიმები და თევზეული.

ომეგა-3 ცხიმოვანი მჟავები. ამ ნივთიერებებით მდიდარია თევზის ცხიმიანი ჯიშები, როგორიცაა ქაშაყი, სკუმბრია და კალმახი.

მოამზადა
ბელა გველესიანმა
568 90 81 22

სახალხო მკურნალი (მცენარეული პანაცეა)

ქალბატონი ირმა სიხარულიძე სამედიცინო დარგის მუშაკია, მაგრამ ავადმყოფებს საუკუნეებით გამოცდილი საგვარეულო წამალ-მალამოთი მკურნალობს. იგი წარმატებით კურნავს: ოსტეოქონდროზს, პოლიართრიტს, მწვავე რადიკულიტს, კისრის, მხრის და მენჯ-ბარძაყის მუხლ-სახსრების ართრიტს; ქვედა კიდურების სისხლძარღვთა შევიწროებას, ე.წ. მარილების დაგროვებას ქუსლისა და ტერფის არეში, დისკოზს, სამწვერა ნერვის ანთებას, შიდა ქალის წნევას.

წამალი მცენარეულია და არანაირი უკუჩვენება არ აქვს.

მიმართეთ და ენდეთ ირმა სიხარულიძეს. მას შეგიძლიათ დაუკავშირდეთ: ქ. თბილისი, ფოთის ქ.№2 (მეტრო წერეთელთან) ტელ: 557 358 900, 34 21 63

საერთო გაზეთი
მთავარი რედაქტორი: ვახტანგ ხარჩილავა

ISSN 2233-3983

9 772233 398001

იბეჭდება შპს „ასავალ-დასავალის“ სტამბაში. აგლაძის 39. E-mail: asavaliprint@yahoo.com